# საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის საუკეთესო პრაქტიკის კვლევა

# აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტრო

*საქართველო, დიდი ბრიტანეთი (შოტლანდია), ამერიკის შეერთებული შტატები, ესტონეთი - შედარებითი კვლევა*

ავტორები: ლევან ავალიშვილი, მარინე კეჭაყმაძე, თამარ იაკობიძე, თეონა ტურაშვილი, გიორგი კლდიაშვილი

რედაქტორი: ლევან ავალიშვილი

კვლევა განხორციელდა ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის (IDFI) მიერ ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) პროგრამის „დემოკრატიული მმართველობა საქართველოში"(G-3) ფარგლებში

ამ ნაშრომის შექმნა შესაძლებელი გახდა ამერიკელი ხალხის მიერ ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) საშუალებით გაწეული დახმარებით. ნაშრომში გამოთქმული შეხედულებები ეკუთვნის ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტს (IDFI) და არ გამოხატავს ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოსა და ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის შეხედულებას.

2012

## სარჩევი


შესავალი.......................................................................................................................... 4

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა ..................................................................... 7

შესავალი............................................................................................................................7

1. ზოგადი ინფორმაცია საჯარო დაწესებულების შესახებ ..............................................7

2. ძირითადი კომპეტენციის სფეროში საჯარო დაწესებულების საქმიანობის შესახებ ცნობები.............................................................................................................................10

3. სამართლებრივი აქტები და საჯარო დაწესებულების ნორმაშემოქმედებითი საქმიანობა 16

4. ძირითადი კომპეტენციის სფეროში საჯარო დაწესებულების საქმიანობის შესახებ ცნობები.............................................................................................................................20

6. საჯარო დაწესებულების საკადრო უზრუნველყოფა......................................................30

7. საჯარო დაწესებულების საქმიანობის წესი, რომელიც მიზნად ისახავს ფიზიკურ და იურიდიულ პირთა უფლებების, თავისუფლებებისა და კანონიერი ინტერესების უზრუნველყოფას ..............................................................................................................32

8. საჯარო დაწესებულების ხარჯთაღრიცხვა და ფინანსური ოპერაციები...........................38

9. საჯარო დაწესებულების საქმიანობაში მოქალაქეთა ჩართულობის მექანიზმები..............39

რეკომენდაციები.................................................................................................................. 44

საჯარო ინფორმაციის მოთხოვნების სტატისტიკური კვლევა .................................................. 55

კვლევის მეთოდოლოგია...................................................................................................... 56

ანალიზის აღწერა.................................................................................................................56

მეთოდები ............................................................................................................................56

პროექტის სამიზნე საჯარო დაწესებულებების 10 დეკემბრის ანგარიშების ანალიზი............... 57

აჭარის ა/რ სოფლის მეურნეობის სამინისტრო........................................................................58

დასკვნა ...............................................................................................................................58

რეკომენდაცია: .....................................................................................................................59

ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის შესახებ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 49-ე მუხლის შესაბამისად განსაზღვრული ანგარიშის ფორმა.60

აჭარის ა/რ სოფლის მეურნეობის სამინისტრო 2009 -2011 წწ. ................................................ 64

საჯარო ინფორმაციის მოთხოვნების რეესტრი: აჭარის ა/რ სოფლის მეურნეობის სამინისტრო69

ფოკუსირებული დისკუსიების შედეგები ................................................................................ 75

რეკომენდაციები.................................................................................................................. 77

საჯარო ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნება........................................................................78
არასრულყოფილი პასუხების თავიდან აცილება ...............................................................................84
საჯარო ინფორმაციის გაცემა ვადების დაცვით..................................................................................85
იგნორირებული და უარყოფილი საკითხები......................................................................................86

# შესავალი

წინამდებარე კვლევა წარმოადგენს “ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის” (IDFI) პროექტის - **“საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის საუკეთესო პრაქტიკის კვლევა“** ფარგლებში განხორციელებულ საქართველოსა და საერთაშორისო (შეერთებული შტატები, გაერთიანებული სამეფო/შოტლანდია, ესტონეთი) პრაქტიკის და კანონმდებლობის შედარებით ანალიზს.

პროექტი **“საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის საუკეთესო პრაქტიკის კვლევა“** IDFI -მ განახორციელა (2012 წლის მარტი-მაისი) ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს **(USAID)** პროგრამის **„დემოკრატიული მმართველობა საქართველოში (G-3)”** მხარდაჭერით.

პროექტი მიზნად ისახავდა ადმინისტრაციული ორგანოების **(საქართველოს იუსტიციის სამინსიტრო, საჯარო სამსახურის ბიურო, კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო, საქართველოს კონტროლის პალატა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა**) გამჭვირვალობისა და ეფექტიანი მმართველობის ხარისხის გაუმჯობესებას საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის კვლევის, შემდგომი მისი დანერგვის და ამ სფეროში არსებული ხარვეზების აღმოფხვრის გზით.

პროექტის - **„საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის საუკეთესო პრაქტიკის კვლევა“** - მთავარი მიზანი გახლდათ საქართველოს საჯარო სექტორის ანგარიშვალდებულებისა და გამჭვირვალობის გაზრდა, საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის შესწავლითა და კვლევის საფუძველზე შემუშავებული რეკომენდაციების იმპლემენტაციით. დასახელებული მიზნის მისაღწევად რამდენიმე ამოცანა იქნა დასახული.

უპირველესად, მნიშვნელოვანი იყო საჯარო დაწესებულებების ელექტრონულ რესურსებზე გამოქვეყნებული საჯარო ინფორმაციის შინაარსობრივი და მათი განთავსების ფორმის კვლევა. ამისთვის შეირჩა რამდენიმე ქართული სამიზნე საჯარო დაწესებულება - **იუსტიციის სამინისტრო, საჯარო სამსახურის ბიურო, კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო, საქართველოს კონტროლის პალატა, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა, აჭარის ა/რ ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო, აჭარის ა/რ ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის**

სამინისტრო, აჭარის ა/რ განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო, აჭარის ა/რ სოფლის მეურნეობის სამინისტრო.

ამავდროულად, პროექტის ფარგლებში აქცენტი გაკეთდა საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომის საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის შესწავლაზე. ამისთვის კი გამოყენებულ იქნა ქართული სამიზნე უწყებების იდენტური უცხოური სამთავრობო ინსტიტუტები. კერძოდ, აქცენტი გაკეთდა პროაქტიული გამოქვეყნების საუკეთესო პრაქტიკის მქონე ქვეყნებზე: ამერიკის შეერთებული შტატები, დიდი ბრიტანეთი/შოტლანდია და ესტონეთი.

საერთაშორისო პრაქტიკის კვლევისას გამოიკვეთა მნიშვნელოვანი თანამედროვე ტენდენცია. კერძოდ, სამთავრობო უწყებები საკუთარი საქმიანობის გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების უზრუნველსაყოფად პროაქტიულ რეჟიმში ხელმისაწვდომს ხდიან საზოგადოებისთვის საინტერესო მონაცემებს. ინფორმაციული ტექნოლოგიების განვითარებამ მათ შესაძლებლობა მისცათ სხვადასხვა ტიპის ანგარიშების, მონაცემებისა და ინფორმაციის ოფიციალურ ვებ-გვერდებზე გამოქვეყნებით მეტად ხელმისაწვდომი გაეხადა ცნობები საკუთარი საქმიანობის შესახებ. რაც მოქალაქეებთან ეფექტური კომუნიკაციის დამყარებისა და საჯარო ინსტიტუტებისადმი საზოგადოებრივი ნდობის ამაღლების უმნიშვნელოვანესი ელემენტია. აღნიშნული ტრენდი საერთაშორისო დონეზე უკვე ჩვეულებრივი ტრადიციაა. უფრო მეტიც, ზოგიერთ ქვეყანაში ეს უკვე საკანონმდებლო დონეზე რეგულირდება.

კვლევის შედეგად იკვეთება, რომ თითქმის ყველა უწყების შემთხვევაში ოფიციალურ ვებ-გვერდზე მნიშვნელოვანია შემდეგი ტიპის ინფორმაციის არსებობა:

- დეტალური ინფორმაცია ხელმძღვანელობის შესახებ;
- საერთო საკონტაქტო ინფორმაცია;
- ორგანოს სტრუქტურისა და საქმიანობის წესის აღწერა;
- სტრატეგიული და სამოქმედო გეგმები;
- პროექტები და პროგრამები;
- საქმიანობის კვარტალური და წლიური ანგარიშები/აუდიტები;
- სამართლებრივი აქტები;
- კონსულტაციები ფიზიკური და იურიდიული პირებისთვის;
- საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობა და გამოთხოვის პროცედურების დეტალური აღწერა;
- უწყების მიერ პროაქტიულად გამოქვეყნებული დოკუმენტები;

- ორგანოს ფინანსური საქმიანობის შესახებ დეტალური ინფორმაცია, იგივე ბიუჯეტი;
- ადმინისტრაციული ხარჯების ღიაობა;
- ხელმისაწვდომი სტატისტიკური მონაცემები;
- უწყების საქმიანობის შესახებ არსებული ზოგადი ინფორმაცია და ა.შ.

გასათვალისწინებელია თავად უწყებების კომპეტენცია და აქედან გამომდინარე, ვებ-გვერდზე განთავსებული სპეციფიური ცნობებისა და დოკუმენტების არსებობაც. აღნიშნული ტიპის ინფორმაციის ვებ-გვერდზე წარმოდგენა და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, წარმოდგენილი მასალის ხარისხობრივი და სრულყოფილი გამოქვეყნება, საჯარო უწყების ანგარიშვალდებულების, ღიაობისა და გამჭვირვალობის შეფასების მთავარ საფუძველს წარმოადგენს.

კვლევის მეთოდოლოგია სამი ძირითადი კომპონენტისგან შედგებოდა:

- საქართველოს სამიზნე  ადმინისტრაციული ორგანოების მიერ პროაქტიული გამოქვეყნების პრაქტიკის კვლევა, მათ ვებ-გვერდებზე განთავსებული საჯარო ინფორმაციის ანალიზის საფუძველზე;
- საერთაშორისო სამთავრობო ინსტიტუტების ოფიციალური ვებ-რესურსების შესწავლა  ინფორმაციის პროაქტიული გამოქვეყნების საუკეთესო მაგალითების გამოსავლენად;
- ქართული საჯარო სივრცის ელექტრონული გამჭვირვალობის გაზრდის მიზნით, სარეკომენდაციო პაკეტის შემუშავება.

# აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა

## შესავალი

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის შემთხვევაში კვლევის ფარგლებში შერჩეულია შოტლანდიის მთავრობის ვებ-გვერდი (http://home.scotland.gov.uk/home) და სწორედ მასზე განთავსებული ინფორმაციის დახმარებით შემუშავდება ძირითადი რეკომენდაციები. ამგვარი მეთოდოლოგია გამართლებულია იმით, რომ ორივე შემთხვევაში საქმე გვაქვს ავტონომიურ ერთეულთან და უფრო გამარტივდება ვებ-გვერდზე საჭირო დოკუმენტებისა და ცნობების განსაზღვრა. ასევე, აჭარის მთავრობისთვის მნიშვნელოვანი იქნება შოტლანდიის მიერ უკვე დანერგილი მომსახურებების ათვისება და პრაქტიკაში განხორციელება.

## 1. ზოგადი ინფორმაცია საჯარო დაწესებულების შესახებ

ავტონომიური მთავრობის ვებ-გვერდზე მნიშვნელოვანია განთავსებული იყოს შემდეგი სახის ინფორმაცია: მთავრობის თავმჯდომარის კომპეტენცია/უფლება-მოვალეობები და მისი თანამდებობაზე დამტკიცების მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრული პროცედურები, ინფორმაცია მთავრობის აპარატის უფროსის შესახებ, მთავრობის შესახებ სხვადასხვა ისტორიული ცნობები. სასურველია ვებ-გვერდზე არსებობდეს ცნობები ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის საქმიანობისა და ფუნქციების შესახებ. ეს მომხმარებლებსა და რიგით მოქალაქეებს შეუქმნით წარმოდგენას მთავრობის საქმიანობისა და მის მიერ განსახორციელებელი ამოცანების შესახებ.

აჭარის ავტონომიური მთავრობის შემთხვევაში ვხვდებით მხოლოდ მთავრობის თავმჯდომარისა და სხვადასხვა მინისტრების ბიოგრაფიულ ცნობებს, მათი კომპეტენციების დაზუსტების გარეშე.

ამის პარალელურად, შოტლანდიის მთავრობის ვებ-გვერდზე მოცემულია მთავრობის პასუხისმგებლობები, მიზნები და კომპეტენცია. ამგვარი ტიპის ინფორმაციის არსებობა ვებ-გვერდზე განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ავტონომიური რესპუბლიკის შემთხვევაში, რადგან საჭიროა ცენტრისა და ადგილობრივი ხელისუფლების კომპეტენციების მკვეთრი გამიჯვნა.

### აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე



**ლევან ვარშალომიძე**

დაიბადა 1972 წლის 17 იანვარს ქ. ბათუმში.

1989 წელს წარჩინებით დაამთავრა ბათუმის №6 საშუალო სკოლა.

1994 წელს - ქ. კიევის უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობების ინსტიტუტის საერთაშორისო სამართლის ფაკულტეტი, იურიდიულ მეცნიერებათა მაგისტრის სამეცნიერო ხარისხით.

1994-1999 წლებში სწავლობდა ქ. კიევის უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობების ინსტიტუტის ასპირანტურაში. მინიჭებული აქვს იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხი სპეციალობით სამოქალაქო სამართალი და სამოქალაქო საპროცესო სამართალი; საოჯახო სამართალი; საერთაშორისო კერძო სამართალი.

1998-2000 წწ. მუშაობდა საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს საერთაშორისო-სამართლებრივ დეპარტამენტში ორმხრივი ურთიერთობების სამმართველოს უფროსად;

2000-2002 წწ. - საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სააღსრულებო დეპარტამენტის თავმჯდომარედ;

2002 წელს მუშაობა დაიწყო საქართველოს ფინანსთა სამინისტროში იურიდიული დეპარტამენტის დირექტორად;

2002 წლის მარტიდან საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტში საერთაშორისო კერძო სამართლის განყოფილების მეცნიერ-მუშაკად.

2002-2004 წწ. - სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოების "დამენია, ვარშალომიძე, ნოღაიდელი და ქავთარაძე" პარტნიორია;

2004 წლის იანვრიდან დაინიშნა შპს "საქართველოს რკინიგზის" გენერალურ დირექტორად.

2004 წლის 5 მაისს დაინიშნა საქართველოს პრეზიდენტის რწმუნებულად აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში.

2004 წლის 20 ივლისს, საქართველოს პრეზიდენტის წარდგინებით, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესმა საბჭომ დაამტკიცა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარედ.

საქართველო, 6010, ქ. ბათუმი, კ. გამსახურდიას, 9
ტელ:422 72006
ფაქსი:422 77300
ელ-ფოსტა: Lvarshalomidze@adjara.gov.ge

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის ვებ-გვერდზე თავმჯდომარის ბიოგრაფიული ცნობები.

### The Scottish Government

The devolved government for Scotland is responsible for most of the issues of day-to-day concern to the people of Scotland, including health, education, justice, rural affairs, and transport.

The Scottish Government was known as the Scottish Executive when it was established in 1999 following the first elections to the Scottish Parliament. The current administration was formed after elections in May 2011.

**The Government's Purpose**

To focus government and public services on creating a more successful country, with opportunities for all of Scotland to flourish, through increasing sustainable economic growth.

The Scottish Government

- Gàidhlig (Gaelic)

შოტლანდიის მთავრობის ვებ-გვერდზე არსებული ინფორმაცია

როგორც უკვე აღინიშნა, მთავრობის თავმჯდომარისა და აპარატის წევრების შესახებ ცნობებში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება თითოეული მთავრობის წევრის კომპეტენციის დაკონკრეტებას. შოტლანდიის მთავრობის ვებ-გვერდზე თანამდებობის პირების ბიოგრაფიულ მონაცემებთან ერთად სპეციალური სივრცეა გამოყოფილი მათი ვალდებულებების აღსაწერად.

## Office of the First Minister



**First Minister**

**Alex Salmond MSP**
**Responsibilities:** Head of the devolved Scottish Government; responsible for development, implementation & presentation of Government policy, constitutional affairs including Referendum Bill and for promoting & representing Scotland.
Biography

### Contact a Minister

**Email:** Ministers' Mailbox ( scottish.ministers@scotland.gsi.gov.uk )

Your message will be forwarded to the relevant Cabinet Secretary or Minister

## Health, Wellbeing & Cities Strategy



**Deputy First Minister and Cabinet Secretary for Health, Wellbeing & Cities Strategy**

**Nicola Sturgeon MSP**
**Responsibilities:** NHS, health service reform, allied healthcare services, acute & primary services, performance, quality & improvement framework, health promotion, sport, Commonwealth Games, public health, health improvement, pharmaceutical services, food safety & dentistry, community care, older people, mental health, learning disability, carers, Social Care & Social Work Improvement Scotland, substance misuse, social inclusion, equalities, anti-poverty measures, veterans and cities strategy.
Biography



**Minister for Commonwealth Games and Sport**

**Shona Robison MSP**
Biography



**Minister for Public Health**

**Michael Matheson MSP**
Biography

## Finance, Employment and Sustainable Growth



**Cabinet Secretary for Finance, Employment and Sustainable Growth**

**John Swinney MSP**
**Responsibilities:** The economy, Scottish Budget, employment, public service reform, Better Regulation, local government, public service delivery, community planning, Registers of Scotland, Scottish Public Pensions Agency, relocation, e-government, budgetary monitoring, business & industry including Scottish Enterprise, Highlands & Islands Enterprise, trade & inward investment, corporate social responsibility, voluntary sector & the social economy, community business & co-operative development, energy, renewables, tourism, building standards, land use planning.

შოტლანდიის მთავრობის ვებ-გვერდზე არსებული ინფორმაცია მინისტრების შესახებ

## 2. ძირითადი კომპეტენციის სფეროში საჯარო დაწესებულების საქმიანობის შესახებ ცნობები

დასახული პოლიტიკისა და დაგეგმილი ღონისძიებების უკეთ წარმოსაჩენად მნიშვნელოვანია მთავრობის მიერ შექმნილი სტრატეგიული დოკუმენტების საზოგადოებრივი ხელმისაწვდომობა. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის, ისევე როგორც, ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს ოფიციალურ გვერდებზე ამგვარი ტიპის დოკუმენტები სამწუხაროდ მწირედ არის წარმოდგენილი: მოცემულია უწყებების წინაშე არსებული გამოწვევები, მიზნები, ამოცანები და მათ შესასრულებლად დაგეგმილი ღონისძიებები. თუმცა, არ არის აღწერილი ერთიანი სტრატეგიის შეფასების ინდიკატორები.




აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკური სამინისტროს ოფიციალური ვებ-გვერდი

შოტლანდიის მთავრობის ვებ-გვერდზე განთავსებულია არამხოლოდ 2012-2012 წლების სამთავრობო პროგრამა, არამედ განვლილი წლების გეგმებიც. ეს მთავრობის მიერ, დროის სხვადასხვა მონაკვეთში, განსაზღვრული პრიორიტეტების ერთმანეთთან შედარების შესაძლებლობას იძლევა.




შოტლანდიის მთავრობის ვებ-გვერდზე განთავსებული სამთავრობო პროგრამები.

აღნიშნულ დოკუმენტებში მოცემულია სხვადასხვა სფეროში მთავრობის მიერ დასახული სტრატეგიული მიზნები, ამოცანები მათი შესრულების გზები და ზუსტი ვადები, განხორციელებული ღონისძიებების შეფასების ინდიკატორები.



- About
  - Strategic Objectives
    - Greener
    - Healthier
    - Safer and Stronger
    - Smarter
    - Wealthier and Fairer

## Strategic Objectives - Scottish Government

The Government has five objectives that underpin its core purpose - to create a more successful country, with opportunities for all of Scotland to flourish, through increasing sustainable economic growth.

**WEALTHIER & FAIRER**

Enabling businesses and people to increase their wealth and more people to share fairly in that wealth.

Find out more about a Wealthier and Fairer Scotland.

**HEALTHIER**

Helping people to sustain and improve their health, especially in disadvantaged communities, ensuring better, local and faster access to health care.

Find out more about a Healthier Scotland.

**SAFER & STRONGER**

Helping communities to flourish, becoming stronger, safer places to live, offering improved opportunities and a better quality of life.

Find out more about a Safer and Stronger Scotland.

**SMARTER**

Expanding opportunities to succeed from nurture through to lifelong learning ensuring higher and more widely shared achievements.

Find out more about a Smarter Scotland.

**GREENER**

Improving Scotland's natural and built environment and the sustainable use and enjoyment of it.

Find out more about a Greener Scotland.

შოტლანდიის მთავრობის ვებ-გვერდზე განთავსებული სტრატეგიული მიზნები. თითოეული მიზნისთვის გამოყოფილია ცალკე გვერდი



- About
  - Scotland Performs
    - Our Purpose
      - Economic Growth
      - Productivity
      - Participation
      - Population
      - Solidarity
      - Cohesion
      - Sustainability

Search

Search for:

Search

## Our Purpose

The Purpose of the Scottish Government is to focus Government and public services on creating a more successful country, with opportunities for all of Scotland to flourish, through increasing sustainable economic growth.

The Government Economic Strategy (GES) sets out the measures that we are taking to deliver the Purpose, accelerate recovery, and develop a more resilient and adaptable economy.

By building a more dynamic and faster growing economy we will increase prosperity, be better placed to tackle Scotland's health and social challenges, and establish a fairer and more equal society. Sustainability is vital if we are to nurture our environment and ensure that future generations can enjoy a better quality of life.

The Purpose is supported by a set of ambitious targets which focus on the drivers of sustainable economic growth and ensure that growth is shared and sustainable. These targets form part of our outcome based National Performance Framework and set the direction and ambition of our Government Economic Strategy.



## Purpose Targets

**Economic Growth**

To raise the GDP growth rate to the UK level by 2011

To match the GDP growth rate of the small independent EU countries by 2017

**Productivity**

To rank in the top quartile for productivity against our key trading partners in the OECD by 2017

**Participation**

To maintain our position on labour market participation as the top performing country in the UK

To close the gap with the top five OECD economies by 2017

**Population**

შოტლანდიის მთავრობის ვებ-გვერდზე განთავსებული მთავრობის ამოცანები

| Purpose Target/National Indicator | Updated On | Frequency |
|---|---|---|
| | | |
| **Purpose Targets** | | |
| | | |
| Participation vs. UK | 21 February | Annually |
| Economic Growth (GDP vs. UK) | 24 April | Quarterly |
| Economic Growth (GDP vs. Small EU) | 24 April | Quarterly |
| | | |
| **National Indicators** | | |
| | | |
| Cultural Engagement | 16 March | Annually |
| Marine Environment | 22 March | Annually |
| Emergency Admissions | 27 March | Annually |
| Research and Development Spending | 28 March | Annually |
| Biodiversity: Terrestrial Breeding Birds | 29 March | Annually |

**Calendar of forthcoming updates to high level Purpose Targets for next 12 months**

| Month of Update | Frequency |
|---|---|
| | |
| **May 2012** | |
| | |
| Participation (vs. UK) | Quarterly |
| Population (vs. EU15) | Quarterly |
| | |
| **June 2012** | |
| | |
| Solidarity | Annually |
| | |
| **July 2012** | |
| | |
| Cohesion | Annually |
| Economic Growth (GDP vs. UK) | Quarterly |
| Economic Growth (GDP vs. Small EU) | Quarterly |

შოტლანდიის მთავრობის ვებ-გვერდზე არსებული ინფორმაცია სტრატეგიული მიზნების მიღწევის ვადების შესახებ

### Supporting business

Supporting the industries that underpin Scotland's rural economy.

- Helping fishing companies invest in new technology and markets
- Scotland's first national food and drink policy
- Improving farming businesses throughout Scotland

### Empowering communities

Supporting and developing rural communities.

- Scottish National Rural Network
- Giving crofters a greater say in their future
- Scotland Rural Development Programme

### Protecting the environment

Reducing our local and global environmental impact and enhancing it for future generations.

- Acting on climate change
- Working towards a zero-waste society
- Promoting energy efficiency
- Scotland's first marine bill

### How are we doing?



**Measuring Scotland's Progress**

Find out about national outcomes and indicators on Scotland Performs, the Scottish Government's progress tracker.

Scotland Performs

შოტლანდიის მთავრობის ვებ-გვერდზე მთავრობის ერთ-ერთი სტრატეგიული მიზნის მისაღწევად დაგეგმილი ღონისძიებები და მათი შესრულების ინდიკატორები

ვებ-გვერდზე, ასევე, მოცემულია წინა წლების სტრატეგიული გეგმების შესრულების ანგარიშები, სადაც განსაზღვრული მაჩვენებლების საფუძველზე, შეფასებულია მთავრობის მიღწევები.




შოტლანდიის მთავრობის ვებ-გვერდზე მთავრობის გეგმების შეფასების ანგარიში

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის შემთხვევაში განსხვავებული სურათია: აჭარის ა/რ მთავრობის, ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს ვებ-გვერდზე ამგვარი შინაარსის მოხსენებები წარმოდგენილი არ არის. განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ოფიციალურ ვებ-გვერდზე საქმიანობის ანგარიში პრეზენტაციის სახითაა განთავსებული და მასში მხოლოდ შესრულებული გეგმების პროცენტული მაჩვენებლებია მოცემული, არ მოიძიება ამ მაჩვენებლების ნარატიული განმარტება რაიმე დოკუმენტის სახით.




აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ვებ-გვერდზე არსებული ანგარიში

საჯარო უწყებების საქმიანობის ამსახველ მასალებში მნიშვნელოვანი როლი უჭირავთ პუბლიკაციებს. შოტლანდიის მთავრობის ვებ-გვერდზე ამ ტიპის დოკუმენტებისთვის ცალკე განყოფილება არის გამოყოფილი. აქ განთავსებული ასობით პუბლიკაციის ძებნა შესაძლებელია მათი თემატიკის, გამოცემის ზუსტი თარიღისა და კონკრეტული საძიებო სიტყვის მეშვეობით.


Search Publications

Search Publications:

Keyword(s): Topic: --

Month: -- Year: -- Sort by: Newest First Search

Showing: 1 to 20 of 12863 Page: Previous 1 2 3 4 5 6 7 8 ... 644 next

Friday 04/05/2012

Consultation on Proposals for an Integrated Framework of Environmental Regulation [Environment]

The proposals outlined in this consultation will deliver a simpler legislative framework which will enable SEPA to focus greatest effort on the environmental problems that matter most. It will provide a more consistent range of enforcement tools so that, proportionate and effective action can be taken against those who would damage the environment.

Consultation on The Housing (Scotland) Act 2001 (Assistance to Registered Social Landlords and Other Persons) (Grants) Amendment Regulations 2012 [Housing]

We are consulting about the changes we propose to make to The Housing (Scotland) Act 2001 (Assistance to Registered Social landlords and Other Persons) (Grants) Regulations 2004. These regulations make provision in relation to certain kinds of grant assistance provided by local authorities to RSLs and other persons out of grants paid to the local authority by Scottish Ministers, (unless excluded by the offer of grant made by the Scottish Ministers).

Wednesday 02/05/2012

Review of Fees Charged by the Court of Session, Accountant of Court, Sheriff & Justice of the Peace Courts, High Court, Office of the Public Guardian: A Consultation Paper. [Law, Order and Public Safety]

A consultation about increases to court fees in Scottish courts

შოტლანდიის მთავრობის ვებ-გვერდზე პუბლიკაციების განყოფილება

პუბლიკაციების განყოფილებაში სპეციალური ადგილია დათმობილი კანონპროექტების, ცენტრალური და ადგილობრივი მთავრობების სამართლებრივი აქტებისთვის, სადაც თითოეულ მათგანზე შესაძლებელია დაწვრილებითი ინფორმაციის მოძიება, როგორც მათი შინაარსის, ასევე მიღების პროცესთან დაკავშირებული დეტალური ცნობების შესახებ.




შოტლანდიის მთავრობის ვებ-გვერდზე განლაგებული საკანონმდებლო პროექტები და კანონები

საგულისხმოა ახალი ამბების განყოფილებაც და მასზე განთავსებული ინფორმაციის განლაგება. შოტლანდიის მთავრობის ვებ-გვერდზე ახალი ამბები განაწილებულია კონკრეტული საკითხების მიხედვით და აადვილებს სასურველი თემატიკის მიხედვით ინფორმაციის მოძიებას. გარდა ამისა, ცალკეა გამოყოფილი გამოსვლების, ოფიციალური განცხადებებისა და მედია-ბრიფინგების განყოფილება. რაც შეეხება თემატურ ბლოკებს, სხვადასხვა საკითხებთან ერთად გამოყოფილია მთავრობის, სტატისტიკის, კვლევის ქვე-კატეგორიები. ცხადია, რომ ამგვარი დაყოფით მომხმარებლისთვის ადვილია მთავრობის, როგორც ყოველდღიური პრაქტიკული ღონისძიებების გაცნობა, ასევე, ხელისუფლების მიერ გატარებული კვლევითი, სტატისტიკური თუ სხვა საქმიანობების შესახებ ინფორმაციის მიღება. ვებ-გვერდზე არსებობს ახალი ამბების არქივიც, რაც უზრუნველყოფს სასურველ პერიოდში მთავრობის საქმიანობის შესახებ ინფორმაციის მიღებას.




შოტლანდიის მთავრობის ვებ-გვერდზე ახალი ამბების განყოფილება. წითელ უჯრაში მოთავსებულია ყველაზე საყურადღებო ფუნქციები

## 3. სამართლებრივი აქტები და საჯარო დაწესებულების ნორმაშემოქმედებითი საქმიანობა

საჯარო ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნების ჭრილში, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ვებ-გვერდზე სამართლებრივი აქტების მონაცემთა ბაზის არსებობას. შოტლანდიის შემთხვევაში მოცემულია მთავრობის წევრთა ქცევის კოდექსი და პროცედურათა სახელმძღვანელო, სადაც აღწერილია მთავრობის კომპეტენცია,

გადაწყვეტილების მიღების პროცედურები, შოტლანდიის პარლამენტისა და მინისტრების ურთიერთდამოკიდებულება და საკანონმდებლო პროცესის აღწერა, ჩამოთვლილია სამინისტროს უწყებების კომპეტენციები. ასევე, აღწერილია მინისტრების დანიშვნის პროცედურები, მასში ჩართული აქტორების როლი და ძირითადი პრინციპები. აქვეა  მოცემული თანამდებობის პირთა მიერ სახელმწიფო ფინანსური რესურსების გამოყენების რეგულაციები და წესები.

Scottish Ministerial Code 2011 edition - A Code of Conduct and Guidance on Procedures for Members of the Scottish Government and Junior Scottish Ministers

| | |
|---|---|
| **Description** | A Code of Conduct and Guidance on Procedures for Members of the Scottish Government and Junior Scottish Ministers |
| **ISBN** | 978-1-78045-522 |
| **Official Print Publication Date** | December 2011 |
| **Website Publication Date** | December 13, 2011 |

Next »
Listen

ISBN 978 1 78045 522 8 (web only publication)
DPPAS 12308

This document is also available in pdf format (1.8MB)

**Contents**

Foreword by the First Minister

1. Scottish Ministers
General Principle
Ministerial Conduct

2. Ministers and the Government
General Principle
The Scottish Government
Collective Responsibility
Cabinet Business
Cabinet Correspondence
Ministerial Discussions below the Level of the Cabinet
Priority of Cabinet Meetings
Attendance at Meetings of Cabinet Sub-Committees
Publication of Policy Documents and Consultation Papers
Confidentiality and Security of Cabinet Documents and Other Government Papers
Official Papers held by Ministers Relinquishing Office
Access by Former Ministers to Official Papers
The Law Officers
The Law Officers' Role in Legal Proceedings

3. Ministers and the Scottish Parliament
General Principle
Key Principles of the Consultative Steering Group on the Scottish Parliament
Commitments to Legislate
Introduction of Bills
Parliamentary Statements and other Government Announcements
Supply of Publications
Financial Resolutions

**შოტლანდიის მთავრობის ვებ-გვერდზე არსებული სამართლებრივი მასალა**

აჭარის ა/რ მთავრობის ვებ-გვერდზე მხოლოდ ოთხი ტიპის სამართლებრივი აქტია განთავსებული:

ა) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუცია - ვებ-გვერდზე მხოლოდ სათაურია მოცემული და დოკუმენტი არ არის ატვირთული;

ბ) საქართველოს კონსტიტუცია - გადადის საქართველოს პარლამენტის ვებ-გვერდზე განთავსებულ 1995 წლის კონსტიტუციის მისამართზე;

გ) კანონი მთავრობის შესახებ - მოცემულია 2004 წელს ძალაში შესული კანონი;

დ) მთავრობის რეგლამენტი - დოკუმენტი არ არის განთავსებული.

სამინისტროების შემთხვევაში კი სამართლებრივი დოკუმენტები წარმოდგენილი აქვს ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის, ასევე, განათლების, კულტურისა და სპორტის და სოფლის მეურნეობის სამინისტროებს. მსგავსი აქტები არ გვხვდება ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს ოფიციალურ ელექტრონულ პორტალზე.

კანონმდებლობა

| | | |
|---|---|---|
| აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს საჯარო მოსამსახურეთა მატერიალური წახალისების, დანამატების და პრემიების განაწილების კომისიის დებულება | წაკითხვა | გადმოწერა |
| საქართველოს კანონი სოციალური დახმარების შესახებ | წაკითხვა | გადმოწერა |
| აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს დებულება | წაკითხვა | გადმოწერა |
| აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფების დებულება | წაკითხვა | გადმოწერა |
| აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს შინაგანაწესი | წაკითხვა | გადმოწერა |
| ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს კ ო ნ ს ტ ი ტ უ ც ი ა | წაკითხვა | გადმოწერა |
| აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუცია | წაკითხვა | გადმოწერა |
| საქართველოს კანონი ჯანმრთელობის დაცვის შესახებ | წაკითხვა | გადმოწერა |
| საქართველოს კანონი პაციენტის უფლებების შესახებ | წაკითხვა | გადმოწერა |
| საქართველოს კანონი საექიმო საქმიანობის შესახებ | წაკითხვა | გადმოწერა |
| საქართველოს კანონი საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ | წაკითხვა | გადმოწერა |
| საქართველოს კანონი სახელმწიფო პენსიის შესახებ | წაკითხვა | გადმოწერა |
| საჯარო სამართლის იურიდიული პირის – აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის | წაკითხვა | გადმოწერა |

აჭარის ა/რ ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ვებ-გვერდზე არსებული სამართლებრივი დოკუმენტები

## საკანონმდებლო აქტები

**საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება** - ეროვნული სასწავლო გეგმის დამტკიცების შესახებ. - იხ. მიმაგრებული ფაილი

**საქართველოს მთავრობის დადგენილება** - 2011-2012 სასწავლო წელს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში აკადემიური უმაღლესი განათლების პირველი საფეხურის აკრედიტებულ უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხულ სტუდენტთა სოციალური პროგრამის ფარგლებში სახელმწიფო სასწავლო გრანტით დაფინანსების ოდენობისა და პირობების განსაზღვრის შესახებ - იხ. მიმაგრებული ფაილი

**საქართველოს მთავრობის დადგენილება** - პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში პირველი სამი საფეხურის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე სწავლის საფასურისა და პროფესიულ სტუდენტთა დაფინანსების წესის განსაზღვრის შესახებ - იხ. მიმაგრებული ფაილი

**საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება** - საჯარო სკოლის დირექტორსა და მასწავლებელს შორის დადებული შრომითი ხელშეკრულების სავალდებულო პირობების დამტკიცების შესახებ - იხ. მიმაგრებული ფაილი

**საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება** - ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩატარების დებულებისა და სახელმწიფო სასწავლო გრანტის განაწილების წესის დამტკიცების შესახებ. - იხ. მიმაგრებული ფაილი

**საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება** - საჯარო სკოლების მასწავლებელთა შრომის ანაზღაურების ოდენობისა და პირობების შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე - იხ. მიმაგრებული ფაილი

**საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება** - საჯარო სკოლის დირექტორსა და მასწავლებელს შორის დადებული შრომითი ხელშეკრულების სავალდებულო პირობების დამტკიცების შესახებ - იხ. მიმაგრებული ფაილი

**საქართველოს მთავრობის დადგენილება** - მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ - იხ. მიმაგრებული ფაილი

**საქართველოს კანონი** - განათლების ხარისხის განვითარების შესახებ - იხ. მიმაგრებული ფაილი

**საქართველოს კანონი** - კულტურული მემკვიდრეობის შესახებ - იხ. მიმაგრებული ფაილი

**საქართველოს კანონი** - ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ - იხ. მიმაგრებული ფაილი

**საქართველოს კანონი** - პროფესიული განათლების შესახებ - იხ. მიმაგრებული ფაილი

**საქართველოს კანონი** - საბიბლიოთეკო საქმის შესახებ - იხ. მიმაგრებული ფაილი

**საქართველოს კანონი** - საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ - იხ. მიმაგრებული ფაილი

**საქართველოს კანონი** - საჯარო სამსახურის შესახებ - იხ. მიმაგრებული ფაილი

**საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება** - საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის ეთიკის კოდექსის დამტკიცების შესახებ - იხ. მიმაგრებული ფაილი

აჭარის ა/რ განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ვებ-გვერდზე არსებული სამართლებრივი დოკუმენტები

### კანონმდებლობა

- საქართველოს კონსტიტუცია
- აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსის შესახებ
- აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუცია
- აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ
- საჯარო სამსახურის შესახებ
- საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ
- საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი
- საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი
- სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ
- ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ
- სახელმწიფო შესყიდვების შესახებ
- მეწარმეთა შესახებ
- სამეწარმეო საქმიანობის კონტროლის შესახებ
- სურსათის უვნებლობისა და ხარისხის შესახებ
- ვეტერინარიის შესახებ
- წყლის შესახებ
- სასოფლო-სამეურნეო კარანტინის შესახებ
- ვაზისა და ღვინის შესახებ
- პესტიციდებისა და აგროქიმიკატების შესახებ
- ცხოველთა და მცენარეთა ახალი ჯიშების შესახებ
- მავნე ორგანიზმებისაგან მცენარეთა დაცვის შესახებ
- ნიადაგის დაცვის შესახებ
- პროდუქციის და მომსახურების სერტიფიკაციის შესახებ
- ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების შესახებ
- სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების შესახებ
- ნიადაგების კონსერვაციისა და ნაყოფიერების აღდგენა-გაუმჯობესების შესახებ
- სურსათის/ცხოველის საკვების მწარმოებელი საწარმოს/დისტრიბუტორის ჰიგიენის ზოგადი წესისა და სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის სფეროებში ზედამხედველობის, მონიტორინგისა და სახელმწიფო კონტროლის განხორციელების წესის შესახებ
- სურსათის/ცხოველის საკვების მწარმოებელი საწარმოს/დისტრიბუტორის ჰიგიენის გამარტივებული წესის შესახებ
- ცხოველური წარმოშობის სურსათის ჰიგიენის სპეციალური წესის შესახებ
- სურსათისა და სურსათთან დაკავშირებული ტარის ჰიგიენური სერტიფიკატის გაცემის წესის დამტკიცების თაობაზე
- სურსათის/ცხოველის საკვების განადგურების წესის დამტკიცების შესახებ
- საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შემოსავლების სამსახურისა და საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სურსათის ეროვნული სააგენტოს მიერ ნებართვების გაცემის წესის, პირობებისა და სანებართვო მოწმობების ფორმების დამტკიცების შესახებ
- საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სურსათის ეროვნული სააგენტოს მიერ მომსახურების გაწევის ვადისა და საფასურის დამტკიცების შესახებ
- გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ

აჭარის ა/რ სოფლის მეურნეობის სამინისტროს ვებ-გვერდზე არსებული სამართლებრივი დოკუმენტები

## 4. ძირითადი კომპეტენციის სფეროში საჯარო დაწესებულების საქმიანობის შესახებ ცნობები

ხელისუფლების საქმიანობასთან დაკავშირებული პროცედურების შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობა მის გამჭირვალობას კიდევ უფრო ზრდის. ამ მხრივ, საგულისხმოა შოტლანდიის მთავრობის ვებ-გვერდზე განთავსებული

გადაწყვეტილების მიღების პროცედურების გზამკვლევი. მასში აღწერილია ხელისუფლებაში არსებული გადაწყვეტილებების მიღების პროცესის დეტალური სტრუქტურა, გაწერილია ყველა უწყების, მათ შორის, მთავრობის ხელმძღვანელის როლი ამ პროცესში. გზამკვლევში აღწერილია მინისტრთა კაბინეტის დღის წესრიგის შემუშავების პროცედურები, ჩამოთვლილია კაბინეტის ქვე-კომიტეტები, აღწერილია მათი საქმიანობის ბუნება, მოცემულია სხვა მნიშვნელოვანი ინფორმაცია.

**CONTENTS**


| ***Section*** | | ***Paragraph*** | ***Page No*** |
|---|---|---|---|
| | ***Preface*** | | 2 |
| 1. | **Decision-Making in the Scottish Government** | | |
| | Introduction | 1.1 | 3 |
| | Collective Responsibility | 1.2 | 3 |
| | Arrangements for Supporting Collective Decision-Making | 1.6 | 4 |
| 2. | **Collective Responsibility and the Role of the First Minister** | | |
| | Collective Responsibility within the Scottish Government | 2.1 | 5 |
| | The Role of the First Minister | 2.8 | 6 |
| 3. | **The Decision-Making Process** | | |
| | Decision-Making Mechanisms | 3.1 | 7 |
| | Minutes to Ministers | 3.6 | 8 |
| | Ministerial Meetings | 3.11 | 9 |
| | Meetings Convened by the First Minister, the Cabinet Secretary for Finance and Sustainable Growth or the Minister for Parliamentary Business | 3.15 | 9 |
| | Cabinet Sub-Committees | 3.16 | 10 |
| | The Scottish Cabinet | 3.17 | 10 |
| 4. | **The Scottish Cabinet** | | |
| | Introduction | 4.1 | 11 |
| | Membership of the Cabinet | 4.2 | 11 |
| | Meetings of the Cabinet | 4.5 | 11 |
| | Cabinet Business | 4.7 | 12 |
| | Clearing Proposals with the Cabinet in Correspondence | 4.10 | 12 |
| | Preparing the Agenda for Cabinet Meetings | 4.11 | 12 |
| | Preparing Papers for the Cabinet | 4.15 | 13 |
| | Circulating Papers | 4.21 | 14 |
| | Recording the Decisions Reached | 4.24 | 14 |
| | Protecting the Confidentiality of Cabinet Papers Etc | 4.28 | 15 |
| 5. | **The Cabinet Secretariat** | 5.1 | 16 |
| 6. | **Conclusion** | 6.1 | 17 |


შოტლანდიის მთავრობის ვებ-გვერდზე არსებული ინფორმაცია გადაწყვეტილების მიღების პროცედურების შესახებ გზამკვლევის სტრუქტურა

ვებ-გვერდზე, აგრეთვე, სასურველია სამთავრობო სხდომებისა და მათზე განხილული საკითხების შესახებ ინფორმაციის განთავსება.

საქართველოს ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის შემთხვევაში, ამგვარი ტიპის ინფორმაცია გვხვდება მხოლოდ ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ოფიციალურ გვერდზე, სადაც არსებობს ცნობები ჩატარებული სხდომების, მათზე განხილული საკითხებისა და მიღებული გადაწყვეტილებების შესახებ. დანარჩენი საჯარო უწყების ვებ-გვერდზე მსგავსი ინფორმაცია, სამწუხაროდ, წარმოდგენილი არ არის.



**5.07-2011 მთავრობის სხდომა**

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2011 წლის ჯანმრთელობის დაცვის, ექიმთა უწყვეტი სამედიცინო განათლების, სამედიცინო პროფილაქტიკური, სოციალური დაცვის და სამედიცინო დაწესებულებების აღჭურვის პროგრამების დამტკიცების შესახებ" აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2010 წლის 28 დეკემბრის #114 განკარგულებაში ცვლილებებისა და დამატების შეტანის თაობაზე"

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ" აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2007 წლის 3 აპრილის #39 ადგენილებით დამტკიცებულ დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე

„საჯარო სამართლის იურიდიული პირის – აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის 2011 წლის მიზნობრივი პროგრამების დამტკიცების შესახებ" აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2010 წლის 28 დეკემბრის #115 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე"

**აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ვებ-გვერდზე არსებული ინფორმაცია სხდომების შესახებ**

შოტლანდიის მთავრობის შემთხვევაში წარმოდგენილია ქვე-კომიტეტების შეხვედრების თარიღები, დაკონკრეტებულია განხილული თემები. მოცემულია, ასევე, კომიტეტის შეხვედრების ყოველწლიური ანგარიშები, სადაც ნაჩვენებია მთელი წლის განმავლობაში ჩატარებული შეხვედრების ნუსხა, მასზე განხილული საკითხებითა და დისკუსიების მიმოხილვით.

**JMC Annual Report 2009-2010**

**Introduction**

The Joint Ministerial Committee is the apex of formal relations between HM Government, the Scottish Government, the Welsh Assembly Government and the Northern Ireland Executive. Arrangements for the JMC are set out in the Memorandum of Understanding, which can be found at www.cabinetoffice.gov.uk/devolution, and was most recently agreed between the four administrations on 10 March 2010. This was presented to the four legislatures shortly thereafter.

This document sets out the meetings of the JMC and its sub-committees since the last meeting of JMC in its plenary format on 16 September 2009 and will be published on the websites of the four administrations. A wide range of other bilateral and quadrilateral fora have also met in this time.

**Key milestones**

<u>JMC Plenary</u>

The Joint Ministerial Committee last met in plenary format on 16 September 2009, and discussed the economy, with particular reference to the meeting of the G20 the following week in Pittsburgh, and inter-administration relations.

<u>Domestic policy discussions</u>

The JMC (Domestic) met on 10 March 2010 to discuss inter-governmental relations and skills policy.

- The discussion on inter-governmental relations led to Ministers agreeing a revised Memorandum of Understanding between the four administrations, with:
    i. A new protocol on dispute avoidance and resolution.
    ii. Changes to the Concordat on the Co-ordination of European Policy, which relate to the workings of the Joint Ministerial Committee (Europe) and the role of the Devolved Administrations' EU offices in Brussels.
    iii. Changes to the Concordat on International Relations, which relate to the responsibilities of the Devolved Administrations in connection with international obligations and their relationship with international organisations.

- Ministers from the four administrations discussed their approaches to skills policy during the economic downturn. They agreed to convene a quadrilateral meeting

შოტლანდიის მთავრობის ვებ-გვერდზე არსებული კომიტეტის შეხვედრების ყოველწლიური ანგარიში

ვებ-გვერდზე არსებობს ინფორმაცია კაბინეტის მრჩევლების შესახებ, დაკონკრეტებულია მათი სახელი და გვარი, მოღვაწეობის სფერო, რა საკითხზეც გასცემენ რეკომენდაციებს.

**Scottish Government Special Advisers**

Special Advisers provide advice to the First Minister, Cabinet Secretaries and Ministers across all portfolio areas in the Scottish Government.

| Name | Role |
| --- | --- |
| Kevin Pringle | Head of Communications and Political Spokesperson |
| Stuart Nicolson | Depute Head of Communications and Political Spokesperson |
| Malcolm Fleming | Communications Special Adviser (special responsibility for forward planning, social media and media management) |
| John MacInnes | Communications Special Adviser (special responsibility for the constitution) |
| Colin Pyle | Responsible for the First Minister's operations, strategic priorities and business programme in government |
| Geoff Aberdein | Principal Staff Officer and Support to Cabinet Secretary for Parliamentary Business and Government Strategy |
| Noel Dolan | Support to the Deputy First Minister, Health, Wellbeing and Cities Strategy |
| Alex Bell | Head of Policy, Research and Strategy |
| Stephen Gethins | Policy Special Adviser for Energy, Rural Affairs and the Environment and the Infrastructure & Capital Investment portfolio, apart from Transport |
| David Hutchison | Policy Special Adviser for Education, Lifelong Learning, Culture and Youth Employment |
| Elizabeth Lloyd | Policy Special Adviser for Transport, Finance, Employment and Sustainable Growth |
| John McFarlane | Policy Special Adviser for Justice and Parliamentary Business |

შოტლანდიის მთავრობის ვებ-გვერდზე არსებული ინფორმაცია სპეციალური მრჩევლების შესახებ

გარდა ამისა, წარმოდგენილია სპეციალური მრჩევლების ვიზიტებთან დაკავშირებით შემდეგი სახის ინფორმაცია: მათი სტუმრობის დრო, მომწვევი ორგანიზაციის ან დამფინანსებლის დასახლება მრჩევლების მიღებაზე გაწეული ხარჯები და თავად გაწეული მომსახურების სახეობა.

**Special Advisers - Gifts and Hospitality received - 1 June to 31 December 2011**

| Person Name | Name of organisation or donor | What is the estimated value? | Description | Date received |
| --- | --- | --- | --- | --- |
| Geoff Aberdein | Lloyds TSB | Over £30 | Meal (awards event) | 10 November 2011 |
| Noel Dolan | Herald | Over £30 | Meal (awards event) | 10 November 2011 |
| Malcolm Fleming | McGrigors | Over £30 | Meal (awards event) | 10 November 2011 |
| Stephen Gethins | US Government | Over £30 | US International Visitor Leadership Programme, Foreign Policy Challenges | 11 June 2011 |
| Stephen Gethins | Scottish Water | Over £30 | Meal (awards event) | 10 November 2011 |
| Stephen Gethins | UK Renewables | Over £30 | Meal (green energy awards event) | 1 December 2011 |
| Stuart Nicolson | Newsdirect | Over £30 | Meal (awards event) | 10 November 2011 |
| Kevin Pringle | Scottish Water | Over £30 | Meal (Barnardos charity event) | 26 November 2011 |
| Kevin Pringle | Herald | Over £30 | Meal (awards event) | 10 November 2011 |

შოტლანდიის მთავრობის ვებ-გვერდზე არსებული ინფორმაცია სპეციალური მრჩევლების ვიზიტების შესახებ

მნიშვნელოვანია სხვადასხვა ღონისძიებებსა და აქტივობებთან დაკავშირებული დანახარჯების შესახებ ინფორმაციის განსაჯაროების პრაქტიკაც. ვებ-გვერდზე მოცემულია:

1. კაბინეტის წევრთა საზაფხულო დანახარჯები - მოცემულია წლების მიხედვით, ზაფხულში მთავრობის წევრთა მიერ სხვადასხვა რეგიონში საზოგადოებასთან გამართულ შეხვედრებზე გაწეული ხარჯები;

- About
  - Cabinet and Ministers
    - Events and Engagements
      - Summer Cabinet Costs
        - 2010
        - 2009
        - 2008

## 2010 Summer Cabinet Costs

**Cost of the Summer Cabinets Programme, 2010:**

The programme of Summer Cabinet Visits in 2010 once again provided an excellent opportunity for people throughout Scotland to raise with the Cabinet the issues that matter most to them and their communities. The Receptions held to celebrate the "Year of Food and Drink" also provided an ideal opportunity to showcase the efforts of local individuals and companies who were involved in promoting and producing Scottish products.

The events were well attended with over 1,200 people in total attending to celebrate the "Year of Food and Drink" and the public meetings on the Government's Vision for Scotland.The Cabinet visited Dornoch, Stirling, the Isle of Bute and Kilmarnock, giving individuals from a wide variety of areas the opportunity to raise their concerns directly with the Government.

The programme for 2010 included a series of four meetings outside Edinburgh, which was 1 less than in 2009. The total costs of £46,855.31 for the 4 visits were **met from existing budgets** and compared very well with the cost last year of £81,448.83 for the five meetings. The average cost of the visit to each location in 2010 at £11,714 was just over 28% less than the average cost of £16,290 in 2009.

The tables below set out the total costs of the programme as well as providing a breakdown of costs by location.

TOTAL COSTS OF SUMMER CABINETS PROGRAMME: 2010

| ALL LOCATIONS | **MINISTERS** | **OFFICIALS** | **TOTAL** |
|---|---|---|---|
| Travel & Accommodation | 2,382.60 | 10,874.73 | 13,257.33 |
| Venues and refreshments | | | 20,132.78 |
| Audio visual and Printing | | | 13,465.25 |
| | | | 46,855.36 |

By Location

TOTAL COSTS OF SUMMER CABINETS PROGRAMME: 2010 - DORNOCH

| DORNOCH (£) | **MINISTERS** | **OFFICIALS** | **TOTAL** |
|---|---|---|---|
| Travel & Accommodation | 846.70 | 3,869.86 | 4,716.56 |
| Venues and refreshments | | | 5,496.78 |
| Audio visual and Printing | | | 3,904.00 |
| | | | 14,117.34 |

**შოტლანდიის მთავრობის ვებ-გვერდზე არსებული ინფორმაცია სამინისტროს საზაფხულო პროგრამების დანახარჯების შესახებ**

2. მინისტრებზე გაცემული 140 ევროზე მეტი ღირებულების საჩუქრები, წლების მიხედვით - დაკონკრეტებულია საჩუქრის გამცემი და მიმღები პირების სახელი და გვარი, გაცემის თარიღი, საჩუქრის აღწერა და ტიპი;

**MINISTERIAL GIFTS 2010/2011**

In accordance with the Scottish Ministerial Code, listed below are details of all gifts received by Scottish Government Ministers, valued at £140 or above, for the year 2010/2011.

**January 2011 – March 2011**

| Minister | Date | Nature of Gift | Given by | Gift Status | Gift Type |
|---|---|---|---|---|---|
| Alex Salmond MSP First Minister | 24-Feb-11 | Two Scottish Horse Racing Honorary Memberships | Bill Farnsworth, General Manager, Musselburgh Race Course | Retained in PO | Other |

**MINISTERIAL GIFTS 2011/2012**

In accordance with the Scottish Ministerial Code, listed below are details of all gifts received by Scottish Government Ministers, valued at £140 or above, for the year 2011/2012.

**April 2011 – June 2011 – No Gifts Received**

**July 2011 – September 2011**

| Minister | Date | Nature of Gift | Given by | Gift Status | Gift Type |
|---|---|---|---|---|---|
| Fiona Hyslop MSP Cabinet Secretary for Culture and External Affairs | 2-Aug-11 | Original Pencil drawing - "preparatory drawing for mural The Spirit of Culture Descending upon the City of Dundee, 1962" | Richard Demarco | Retained for Official Use | Art |
| Stewart Stevenson MSP Minister for Environment and Climate Change | 15-Aug-11 | 2 nights accommodation | Norwegian Government | Retained for Official Use | Other |
| John Swinney MSP Cabinet Secretary for Finance, Employment and Sustainable Growth | 22-Sep-11 | A bottle of 25 year old Ben Nevis whisky | Scottish Engineering | Retained for private use by Minister | Alcohol |

**October 2011 – December 2011**

| Minister | Date | Nature of Gift | Given by | Gift Status | Gift Type |
|---|---|---|---|---|---|
| Rt Hon Alex Salmond MSP, First Minister | 12-Dec-11 | Large glass bowl | Mr Steven Ferguson, Group Managing Director, Ferguson | On display | Chrystal/Glassware |

შოტლანდიის მთავრობის ვებ-გვერდზე არსებული ინფორმაცია მინისტრების საჩუქრების შესახებ

3. პირველი მინისტრის (მთავრობის ხელმძღვანელის) შეხვედრების, ინტერვიუების, სადილების ჩამონათვალი - მათ შორის მოცემულია ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში გამართული შეხვედრების ზუსტი თარიღი, აგრეთვე იმ პირის სახელი და გვარი რომელსაც შეხვდა მინისტრი;

**MINISTERIAL ENGAGEMENTS FROM 1 NOVEMBER 2011 – 30 NOVEMBER 2011**

**Alex Salmond MSP**
**First Minister**

| Date | Engagement Type | Organisation/Individual Met With |
|---|---|---|
| 04-Nov-11 | Dinner | Stuart Andrew Lawtie Memorial Fund |
| 06-Nov-11 | Interview | BBC Politics Show |
| 08-Nov-11 | Dinner | Scottish Science Advisory Council |
| | Meeting | Eric Le Corre |
| | Photo Opportunity | Perth Races |
| 09-Nov-11 | Meeting | Dr Matt Qvortrup |
| | Meeting | Loïc Fauchon |
| | Meeting | Rob Woodward and Sir Tom Hunter |
| | Meeting | Alasdair Gray |
| 10-Nov-11 | Meeting | Ben Thomson, Giles Tucker & Adam Hylan |
| | Meeting | Richard Brasher |
| | Meeting | Scottish Newspaper Society |
| | Awards Ceremony | Herald Politician of the Year |
| 11-Nov-11 | Lunch | Inverurie Locos |
| | Interview | Original 106 |
| 13-Nov-11 | Visit | City Chambers |
| | Visit | St Giles Cathedral |
| 15-Nov-11 | Formal Opening/Launch | Amazon Waverleygate |
| | Formal Opening/Launch | Amazon Fulfilment Centre |
| 16-Nov-11 | Interview | Hokkaido Press |
| | Meeting | Ian Bankier |
| | Meeting | Roddy Robertson |
| | Press Launch | Scottish Ten Film |
| 17-Nov-11 | Meeting | Patrick Balfour |
| | Meeting | Sir Jackie Stewart |
| | Meeting | Sir Tom Farmer & Rod Petrie |
| | Meeting | Stephen Burgin |
| | Meeting | William Bruce |
| 18-Nov-11 | Formal Opening/Launch | Michelin |
| | Awards Ceremony | SCDI International Awards |

შოტლანდიის მთავრობის ვებ-გვერდზე არსებული ინფორმაცია მინისტრთან შეხვედრების შესახებ

4. სამინისტროს ღონისძიებები - მოცემულია ინფორმაცია დაგეგმილი და განხორციელებული ღონისძიებების შესახებ. მოცემულია ამ ტიპის აქტივობების არქივიც.




**შოტლანდიის მთავრობის ვებ-გვერდზე არსებული ინფორმაცია სამინისტროს ღონისძიებების შესახებ**

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ვებ-გვერდზე არსებული ინფორმაცია მთავრობის აპარატის თანამშრომელთა ანაზღაურების შესახებ. ამ შემთხვევაში დაკონკრეტებულია საჯარო მოხელის სახელი და გვარი, მისი თანამდებობა და ჯამაგირის ოდენობა. გამჭვირვალობის კიდევ უფრო მაღალი ხარისხის უზრუნველსაყოფად შექმნილია სპეციალური ვებ-რესურსი, სადაც თემატურადაა თავმოყრილი ინფორმაცია დიდი ბრიტანეთის აღმასრულებელი ხელისუფლების ყველა ორგანოს საქმიანობის, ბიუჯეტის ხარჯვის და სხვა საკითხების შესახებ.

## Scottish Government Staff Data

The Scottish Government publishes data sheets in respect of its senior and junior staff, showing names, job title and salary for senior civil servants at Director level and above.

The data also provides job titles of senior civil servants at Deputy Director level along with a breakdown by grade and number of the staff in their team. Please note: data sets have defaulted all SG staff for the purposes of this exercise to Policy professionals, some salary costs have still to be added, accuracy of this data is not guaranteed.

## SG Staff

- View the interactive organogram

## Senior Posts Data

### Downloadable document:

| | |
|---|---|
| **SCS Posts** | SCS Posts [CSV, 49.5 kb: 09 Jun 2011]<br>Open \| Open in new window |
| | Viewer Help |

## Junior Posts Data

### Downloadable document:

| | |
|---|---|
| **junior posts** | junior posts [CSV, 106.9 kb: 09 Jun 2011]<br>Open \| Open in new window |
| | Viewer Help |

## Staff Organogram Data - RDF Format

### Downloadable document:

| | |
|---|---|
| **Organogram** | Organogram [TXT, 350.7 kb: 21 Jun 2011]<br>Open \| Open in new window |
| | Viewer Help |

This data is formatted as an RDF (Resource Description Framework) file as part of the data.gov.uk initiative. See http://data.gov.uk/about for more information.
Please note that unfortunately the interactive organogram is not currently working. We are looking at the problem and hope to resolve it shortly.

შოტლანდიის მთავრობის ვებ-გვერდზე არსებული ინფორმაცია თანამშრომლების ხელფასების შესახებ. გაყვითლებულია data.gov.uk-ზე გადასასვლელი ღილაკი.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის შემთხვევაში ბიუჯეტით გათვალისწინებული სახსრების განკარგვის შესახებ ინფორმაცია სამწუხაროდ ან სრულიად არ მოიპოვება ან ძალზე მწირად არის წარმოდგენილი. სამინისტროების ვებ-გვერდებზე მოცემულია დამტკიცებული ბიუჯეტი, რომელიც ძირითადად მოიცავს შემდეგ რიცხვობრივ მონაცემებს:

1. მომსახურების, საქონლის, შრომის ანაზღაურების, ხარჯები;
2. არაფინანსური აქტივები;
3. ვალდებულებები;
4. უწყებაში მომუშავეთა რიცხვი;
5. სუბსიდიები.

გამონაკლისია აჭარის ა/რ-ის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, რომლის ვებ-გვერდზე წარმოდგენილია ბიუჯეტის შესრულების დეტალური ანგარიში.

| ხარჯების დასახელება | 2012 წლის გეგმა |
|---|---|
| 1 | 2 |
| **სოფლის მეურნეობის სამინისტრო** | **3233800** |
| **ხარჯები** | **1619625** |
| შრომის ანაზრაურება | 668900 |
| საქონელი და მომსახურება | 322325 |
| სოციალური უზრუნველყოფა | 5000 |
| სხვა ხარჯები | 8000 |
| სუბსიდიები | 615400 |
| **არაფინანსური აქტივები** | **1613600** |
| **ვალდებულებები** | **575** |
| **სოფლის მეურნეობის სამინისტროს აპარატი** | **1081800** |
| მომუშავეთა რიცხოვნება | 37 |
| **ხარჯები** | **1004800** |
| მ.შ მუშა მოსამსახურეთა შრომის ანაზღაურება | 668900 |
| საქონელი და მომსახურება | 322325 |
| სხვა ხარჯები | 8000 |
| სოციალური უზრუნველყოფა | 5000 |
| არაფინანსური აქტივობები | 77000 |
| ვალდებულებები | 575 |
| **მიზნობრივი პროგრამები** | **1030000** |
| მექანიზაციის ტექნიკური საშუალებით ფერმერთა უზრუნველყოფის ხელშეწყობა | 30000 |
| ფერმერთა უზრუნველყოფა თანამედროვე ტიპის ხილის საშრობი დანადგარებით | 1000000 |
| **სუბსიდიები –სსიპ სოფლის მეურნეობის ლაბორატორია** | **317000** |

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს 2012 წლის ბიუჯეტი

## 6. საჯარო დაწესებულების საკადრო უზრუნველყოფა

საჯარო დაწესებულების ვებ-გვერდზე მნიშვნელოვანია არსებობდეს ცნობები დასაქმებისა და სტაჟირების შესახებ. შოტლანდიის მთავრობის შემთხვევაში ვაკანსიებს ცალკე განყოფილება აქვს დათმობილი, სადაც მომხმარებლისთვის ხელმისაწვდომია მთავრობისა და მისი საქმიანობის შესახებ ცნობები, საჯარო უწყებაში მუშაობის სარგებლის, კანდიდატებისთვის წაყენებული საკვალიფიკაციო მოთხოვნების, ვაკანტურ ადგილზე განცხადების შეტანის პროცედურების აღწერა.




**შოტლანდიის მთავრობის ვებ-გვერდზე არსებული ინფორმაცია დასაქმების პერსპექტივების, პროცედურებისა და მოთხოვნების შესახებ**

გარდა ამისა, ქვე-განყოფილებაში განთავსებულია ინფორმაცია ანაზღაურების, პენსიების, ტრენინგებისა და სამუშაო გრაფიკის შესახებ.




შოტლანდიის მთავრობის ვებ-გვერდზე არსებული ინფორმაცია სამუშაო პირობების შესახებ

რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, ვებ-გვერდზე განთავსებულია ვაკანსიათა საძიებო სისტემა რეგიონებისა და ქალაქების, პროფესიის, განაკვეთისა და ხელფასის ოდენობის მიხედვით.




შოტლანდიის მთავრობის ვებ-გვერდზე ვაკანსიათა საძიებო სისტემა

## 7. საჯარო დაწესებულების საქმიანობის წესი, რომელიც მიზნად ისახავს ფიზიკურ და იურიდიულ პირთა უფლებების, თავისუფლებებისა და კანონიერი ინტერესების უზრუნველყოფას

საჯარო დაწესებულების ღიაობისა და გამჭვირვალობის ერთ-ერთ მთავარ ინდიკატორად მის ვებ-გვერდზე ინფორმაციის თავისუფლებასთან დაკავშირებული ცალკეული განყოფილების არსებობა შეიძლება ჩაითვალოს. შოტლანდიის მთავრობის ოფიციალურ გვერდზე ინფორმაციის თავისუფლებას განცალკევებული სივრცე აქვს

დათმობილი. აქ წარმოდგენილია ინფორმაციის ღიაობის პოლიტიკის ძირითადი პრინციპები და შესაბამისი კანონმდებლობა (შოტლანდიის ინფორმაციის თავისუფლების აქტი).

## Legislation

**Information on the Act**

The Freedom of Information (Scotland) Act 2002 came into force on 1 January 2005.

The Act introduced a general statutory right of access to all types of 'recorded' information of any age held by Scottish public authorities. Subject to certain conditions and exemptions, any person who makes a request for information will be entitled to receive it.

The Act is enforced by the Scottish Information Commissioner, a fully independent public official.

Related Scottish Statutory Instruments

**Freedom of Information (Amendment) (Scotland) Bill**

The Scottish Government consulted on changes to the Freedom of Information (Scotland) Act 2002.

The consultation ran from 16 December 2011 to 8 March 2012.

The consultation responses are being considered by the Scottish Government and in due course a report will be published. The proposed Amendment Bill is scheduled for introduction in the current Parliamentary session.

**Environmental Information (Scotland) Regulations 2004**

Similar provisions are applicable to environmental information. Via this link you can find details on access to Environmental Information

**Section 60 & Section 61 Codes of Practice**

The Freedom of Information (Scotland) Act 2002 required Scottish Ministers to issue two Codes of Practice, under sections 60 and 61 of the Act.

**Section 4 and 64 Orders**

In October 2008, two amending orders were made to the Freedom of Information (Scotland) Act.

The list of public bodies which are covered by the Act was amended by an order under section 4 of FOISA, which removed those public bodies which had been dissolved, and added some new public bodies created since FOISA came into force. www.opsi.gov.uk/legislation/scotland/ssi2008/pdf/ssi_20080297_en.pdf

Under section 64 of FOISA, a further order amended some legislation pre-dating FOISA which contained prohibitions on the disclosure of certain information. Five pieces of legislation were amended by the order, which had been identified as creating barriers to the release of information.
www.opsi.gov.uk/legislation/scotland/ssi2008/pdf/ssi_20080339_en.pdf

**Fees**

The Fees Regulations (under Sections 9 and 13 of the Act)

**Guidance Note on Handling Requests for Information Relating to National Security (including guidance on section 31 certificates)**

შოტლანდიის მთავრობის ვებ-გვერდზე განთავსებული ინფორმაციის თავისუფლებასთან დაკავშირებული ნორმატიული აქტები

ასევე, წარმოდგენილია საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი საჯარო მოსამსახურის სახელი და გვარი, თანამდებობა და საკონტაქტო რეკვიზიტები.

## Your right to review and appeal

If we have handled your request under the Freedom of Information (Scotland) Act or the Environmental Information (Scotland) Regulations, our response will always advise you who you should contact to request that we carry out an internal review of our response. Tell us why you are unhappy with our response within 40 working days, and it will be looked at afresh. We will aim to provide you with our review response within 20 working days.

If you remain unhappy with our response, you then have the right to appeal to the Scottish Information Commissioner. You should keep copies of all the correspondence you have had with us, as if you decide to appeal to the Scottish Information Commissioner you will be asked to provide these.

The Scottish Information Commissioner

Kinburn Castle

Doubledykes Road

St Andrews, Fife

KY16 9DS

Telephone: 01334 464610

www.itspublicknowledge.info

If you are unhappy with a response you have received to a Data Protection subject access request, or have a complaint about the way we have handled personal information, you can contact the UK Information Commissioner at:

The Information Commissioner's Office

Wycliffe House, Water Lane

Wilmslow, Cheshire

SK9 5AF

Telephone: 08456 30 60 60

www.ico.gov.uk

Back to top

**შოტლანდიის მთავრობის ვებ-გვერდზე არსებული ინფორმაცია ინფორმაციის კომისარის საკონტაქტო რეკვიზიტების შესახებ**

ვებ-გვერდზე არსებობს დეტალური ცნობარი საჯარო ინფორმაციის გამოთხოვნის პროცედურებთან დაკავშირებით: წარმოდგენილია მიმართვის ფორმების შესავსებად გასათვალისწინებელი წესები, მოსაკრებლის ოდენობა, ვადები, ინფორმაციის გაცემაზე უარის შემთხვევაში გასაჩივრების წესები.

How to Access Information

The leaflet How to 'Open Government' is a guide to making the most out of your rights to request information from the Scottish Government.

## A guide to making the most out of your rights to request information from the Scottish Government

This guide explains how to use your rights to access information held by the Scottish Government. It sets out our commitment to you about how we will handle your requests for information, and includes guidance on using your rights under legislation responsibly.

**Contents**


Legislation

Where to start

How to request information

What happens next?

Understanding our response

Your right to review and appeal


## Legislation

**Data Protection Act 1998**

The Data Protection Act gives you the right to know what information is held about you, and sets out rules to make sure that this information is handled properly.

**Freedom of Information (Scotland) Act 2002**

The Freedom of Information (Scotland) Act gives you the right to request information and for it to be given to you unless there are good reasons not to.

**Environmental Information (Scotland) Regulations 2004**

The Environmental Information (Scotland) Regulations give you the right to request information about the environment and for it to be made available unless there are good reasons not to.

Back to top

## Where to start

**Before making a request**

We already make a large amount of information publicly available - mainly on the Scottish Government website at www.scotland.gov.uk, but if you prefer to have it in printed format this is usually possible, on request from our central enquiry unit - ceu@scotland.gsi.gov.uk or phone 08457 741 741 .

შოტლანდიის მთავრობის ვებ-გვერდზე არსებული ინფორმაცია საჯარო ინფორმაციის გამოთხოვნასთან დაკავშირებით

პრაქტიკულად აუცილებელი ზოგადი ინფორმაციის გარდა, ვებ-გვერდზე შესაძლებელია სხვადასხვა პერიოდში პროაქტიულად გამოქვეყნებული საჯარო ინფორმაციის გაცნობაც. გარდა ამისა, წარმოდგენილია ამ მასალების გამოწერის სერვისიც (ე.წ. RSS).




შოტლანდიის მთავრობის ვებ-გვერდზე წლების მიხედვით პროაქტიულად გამოქვეყნებული მასალები. გაყვითლებულია გამოქვეყნებული მასალების გამოწერის სერვისი

საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის ეფექტური უზრუნველყოფის მისაღწევად, სამთავრობო უწყებები ხშირად უტარებენ ტრენინგებსა და სხვადასხვა ტიპის მოსამზადებელ კურსებს საკუთარ თანამშრომლებს. შოტლანდიის მთავრობის ვებ-გვერდზე მოცემულია საჯარო მოხელეებისთვის განკუთვნილი სპეციალური გზამკვლევები და მასალები. ეს თავის მხრივ უფრო მარტივს ხდის ინფორმაციის თავისუფლებასთან დაკავშირებული პროცედურებისა და რეგულაციების პრაქტიკულ გამოყენებას.




შოტლანდიის მთავრობის ვებ-გვერდზე არსებული მასალები ინფორმაციის თავისუფლებისა და უწყების საქმიანობის პროცედურების შესახებ

ვებ-გვერდზე შესაძლებელია, ასევე, საჯარო ინფორმაციის გაცემასთან დაკავშირებული სტატისტიკური მონაცემების ნახვა: განთავსებულია ყოველწლიური და კვარტალური ანგარიშები გამოთხოვნილი ინფორმაციის ოდენობისა და სახეობის შესახებ, შეჯამებულია გაცემული პასუხები. ვებ-გვერდზე განთავსებულია საჯარო ინფორმაციის რეესტრი, სადაც წარმოდგენილია 2005 წლიდან დღემდე, მოთხოვნილი ინფორმაციის დასახელება, უწყების მიერ მიღებული გადაწყვეტილება, ინფორმაციის

მოთხოვნისა და გაცემის ზუსტი თარიღები, დაკონკრეტებულია დეპარტამენტი, რომელსაც მსგავსი მოთხოვნით მიმართეს.

This page provides links to reports created by the Scottish Government about its internal handling of Freedom of Information requests.

**Annual Reports**

- 2005
- 2006
- 2007
- 2008
- 2009
- 2010
- 2011

**Quarterly Statistics Bulletin**

- Q1: January to March 2009
- Q2: April to June 2009
- Q3: July to September 2009
- Q4: October to December 2009
- Q1: January to March 2010
- Q2: April to June 2010
- Q3: July to September 2010
- Q4: October to December 2010
- Q1: January to March 2011
- Q2: April to June 2011
- Q3: July to September 2011
- Q4: October to December 2011

შოტლანდიის მთავრობის ვებ-გვერდზე საჯარო ინფორმაციის გაცემის ყოველწლიური და კვარტალური ანგარიშები

| Request Summary | Decision | Date received | Response Sent | Department* (*see abbreviations shown below) |
|---|---|---|---|---|
| Material relating to the decision to re-instate Bovis or Bovis Land Lease to the final shortlist for the project contractor for Holyrood in January 1999. | Withhold | 05/01/2005 | 18/11/2005 | FCSD |
| Material in the second half of 1998 relating to legal action or the potential for legal action brought by Bovis or related companies in connection with its contact for the Museum of Scotland Building. | Withhold | 05/01/2005 | 01/02/2005 | ED |
| Use of Bute House by FM and other Ministers for entertaining, including attendees at these functions and the cost of each event. | | 05/01/2005 | 04/02/2005 | OPS |
| All correspondence dated between 1 January 2001 and 31 December 2004 between the Scottish Executive and Glasgow Airport Limited or anyone acting on their behalf relating to the provision of parking facilities at or for any Scottish airport. | Partial Release | 05/01/2005 | 02/02/2005 | ETLLD |
| All correspondence dated between 1 January 2001 and 31 December 2004 between the Scottish Executive and Edinburgh Airport Limited or anyone acting on their behalf relating to the provision of parking facilities at or for any Scottish airport. | Partial Release | 05/01/2005 | 02/02/2005 | ETLLD |
| All correspondence dated between 1 January 2001 and 31 December 2004 between the Scottish Executive and BAA plc or anyone acting on their behalf relating to the provision of parking facilities at or for any Scottish airport. | Withhold | 05/01/2005 | 02/02/2005 | ETLLD |
| All correspondence dated between 1 January 2001 and 31 December 2004 between the Scottish Executive and Aberdeen Airport Limited or anyone acting on their behalf relating to the provision of parking facilities at or for any Scottish airport. | Withhold | 05/01/2005 | 02/02/2005 | ETLLD |
| All correspondence dated between 1 January 2001 and 31 December 2004 between the Scottish Executive and the owners or operators of Prestwick International Airport or anyone acting on their behalf relating to the provision of parking facilities. | Partial Release | 05/01/2005 | 02/02/2005 | ETLLD |

შოტლანდიის მთავრობის ვებ-გვერდზე წლების მიხედვით, ინფორმაციის გაცემის მოთხოვნების აღწერა

## 8. საჯარო დაწესებულების ხარჯთაღრიცხვა და ფინანსური ოპერაციები

მთავრობის გამჭვირვალობასა და ანგარიშვალდებულების მაღალ ხარისხზე მეტყველებს ვებ-გვერდზე სხვადასხვა ტიპის ფინანსური ოპერაციებისა და დანახარჯების შესახებ განთავსებული ინფორმაცია.

როგორც უკვე ზემოთ აღინიშნა, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სამინისტროების შემთხვევაში წარმოდგენილია მხოლოდ ზოგადი საბიუჯეტო ცნობები.

შოტლანდიის მთავრობის ვებ-გვერდზე, ინფორმაციის თავისუფლების განყოფილებაში, გამოქვეყნებულია ბოლო ორი წლის განმავლობაში 25 ათას ევროს ზემოთ ღირებულების დანახარჯების შესახებ შემდეგი სახის ცნობები:

1. გაცემული თანხის ოდენობა;
2. თანხის მიმღები პირის ვინაობა;
3. გადახდის დრო;
4. თანხის გაცემის მიზეზი;
5. თანხის გამცემი სამინისტროს სტრუქტურული ერთეულის დასახელება.

January 2012
Items of Expenditure over £25,000 for the core Scottish Government

| Payee | Amount Paid | Date Paid | Description | Directorate |
|---|---|---|---|---|
| NHS Greater Glasgow & Clyde | 37,520.10 | 03-Jan-2012 | Seconded Staff Costs | CMO, Public Health and Sport |
| MITIE Cleaning & Environmental Services Limited (MCES) | 199,960.96 | 03-Jan-2012 | Window cleaning and waste services December 2011 - various buildings | HR and Organisational Development |
| Scottish Prison Service | 27,200,000.00 | 03-Jan-2012 | Cash Funding to Non SEAS Agencies | Learning & Justice |
| SEPA | 26,400.00 | 03-Jan-2012 | Ship charter - Sir John Murray for environmental survey work in August 2011. | Marine Scotland |
| Scottish Police Services Authority (SPSA) | 5,400,000.00 | 03-Jan-2012 | SPSA Grant in Aid | Safer Communities |
| NHS Greater Glasgow & Clyde | 50,000.00 | 03-Jan-2012 | Equality Development | Strategy and Performance |
| Whitespace (Scotland) Limited | 44,012.00 | 04-Jan-2012 | Public Information - Overarching Climate Change Behaviours campaign: Website 2012 - digital production work costs. | Cabinet Directorate |
| Amas Ltd | 115,000.00 | 04-Jan-2012 | Accommodation Charge -RCAHMS monthly rental charge for HQ premises. | Culture and Digital |
| Young Scot | 28,870.63 | 04-Jan-2012 | Climate Change Engagement Project | Energy and Climate Change |
| State Hospitals Board of Scotland | 3,000,000.00 | 04-Jan-2012 | Cash Advances To Health Boards | Health Finance and Information |
| Western Isles NHS Board | 4,957,000.00 | 04-Jan-2012 | Cash Advances To Health Boards | Health Finance and Information |
| NHS 24 | 4,750,000.00 | 04-Jan-2012 | Cash Advances To Health Boards | Health Finance and Information |
| NHS Health Scotland | 2,500,000.00 | 04-Jan-2012 | Cash Advances To Health Boards | Health Finance and Information |

შოტლანდიის მთავრობის დანახარჯები

გარდა ამისა, ვებ-გვერდზე მოცემულია მაღალი ხელფასის მქონე თანამდებობის პირთა სახელი და გვარი, თანამდებობა, ანაზღაურების ზუსტი ოდენობა. სხვადასხვა ანგარიშებში მოცემულია უწყების მიერ ყველა განხორციელებულ ღონისძიებებზე გაწეული ხარჯებიც.

**List of High Earners in Scottish NDPBs and Public Corporations**

| Name | Job Title | NDPB / Public Corporation | Pay rate as at 31 March 2010 (in £5k bands) | Notes |
|---|---|---|---|---|
| Lena Wilson | Chief Executive | Scottish Enterprise | £200,000 - £204,999 | |
| Barry White | Chief Executive | Scottish Futures Trust | £180,000 - £184,999 | |
| Richard Ackroyd | Chief Executive | Scottish Water | £260,000 - £264,999 | |
| Geoff Aitkenhead | Asset Management Director | Scottish Water | £170,000 - £174,999 | |
| Douglas Millican | Finance and Regulation Director | Scottish Water | £170,000 - £174,999 | |
| Chris Banks | Commercial Director | Scottish Water | £155,000 - £159,999 | |
| Peter Farrer | Customer Service Delivery Director | Scottish Water | £155,000 - £159,999 | |
| Ronnie Mercer | Chair | Scottish Water | £90,000 - £94,999 | 2.5 days per week |
| Philip Riddle | Chief Executive | VisitScotland | £160,000 - £164,999 | |

შოტლანდიის მთავრობის ვებ-გვერდზე მაღალანაზღაურებიანი თანამშრომლების ხელფასები

## 9. საჯარო დაწესებულების საქმიანობაში მოქალაქეთა ჩართულობის მექანიზმები

შოტლანდიის მთავრობის ვებ-გვერდზე მოქალაქეთა ჩართულობის მექანიზმად შეიძლება ჩაითვალოს სპეციალური განყოფილება სახელწოდებით „კონსულტაციები." აქ გამოტანილია მიმდინარე, დასრულებული და სამომავლო კონსულტაციების ქვე-განყოფილებები. ამ გზით შოტლანდიის მთავრობა ცდილობს პოლიტიკის დაგეგმვის დროს გაითვალისწინოს მოქალაქეთა მოსაზრებები და მოთხოვნები.

მიმდინარე კონსულტაციების ქვე-განყოფილებაში განსაზღვრულია არსებული პრობლემა, აღწერილია მთავრობის მიერ დაგეგმილი ღონისძიებებიც.





| | Title | Consultation Period |
|---|---|---|
| Details... | **Consultation on The Housing (Scotland) Act 2001 (Assistance to Registered Social Landlords and Other Persons) (Grants) Amendment Regulations 2012**<br>We are consulting about changes we propose to make to the Housing (Scotland) Ac... | 04/05/2012 to 27/07/2012 |
| Details... | **Consultation on Proposals for an Integrated Framework of Environmental Regulation**<br>The proposals outlined in this consultation will deliver a simpler legislative ... | 04/05/2012 to 04/08/2012 |
| Details... | **Review of Fees Charged by the Court of Session, Accountant of Court, Sheriff & Justice of the Peace Courts, High Court, Office of the Public Guardian: A Consultation Paper.**<br>Court fees and fees for services offered by the Office of Public Guardian (OPG)... | 30/04/2012 to 23/07/2012 |
| Details... | **Consultation on a Revision to Fire Safety Guidance for Care Homes and the Quality Assurance of Persons who Offer Fire Risk Assessment Services**<br>This consultation seeks views on two aspects of non-domestic fire safety in Sco... | 20/04/2012 to 13/07/2012 |
| Details... | **Consultation on a Strategy for the Private Rented Sector**<br>This consultation invites your views and comments on the development of a strat... | 17/04/2012 to 10/07/2012 |
| Details... | **Consultation on National Framework for Child Protection Learning & Development in Scotland**<br>The National Child Protection Learning and Developemnt Framework is a describes... | 06/04/2012 to 06/07/2012 |
| Details... | **Consultation on the Charging of Premiums in the Private Rented Sector**<br>This consultation presents three different policy approaches in relation to the... | 04/04/2012 to 30/05/2012 |
| Details... | **Charter of Patient Rights & Responsibilities**<br>The Patient Rights (Scotland) Act 2011 places a duty on Ministers to publish a ... | 02/04/2012 to 25/06/2012 |
| Details... | **The Children's Hearings (Scotland) Act 2011 - Safeguarders fees, expenses and allowances**<br>This consultation is seeking the views of all interested parties on proposals f... | 30/03/2012 to 11/05/2012 |

შოტლანდიის მთავრობის ვებ-გვერდზე მიმდინარე კონსულტაციების განყოფილება

აქვე მოცემულია წამოჭრილი პრობლემის გარშემო არსებული ძირითადი კითხვები და მათზე საპასუხოდ განთავსებულია შესაბამისი ფორმები. დაინტერესებულ პირთა მიერ შევსებული ანკეტები ეგზავნებათ კონკრეტულ საკითხზე პასუხისმგებელ პირებს. თითოეულ საკითხთან დაკავშირებით დაკონკრეტებულია საკონსულტაციო ვადა, რა დრომდეც ხელისუფლება იღებს დაინტერესებულ პირთა მოსაზრებებს.

დასრულებული კონსულტაციების შემთხვევაში მოცემულია პრობლემის აღწერა და მთავრობის მიერ დაგეგმილი ღონისძიებები. შეჯამებულია ამ საკითხის გარშემო მოსახლეობის მხრიდან მიღებული გამოხმაურებები და ნაჩვენებია ხელისუფლების საბოლოო გადაწყვეტილებაც. ამგვარი პროაქტიული სტრატეგია უზრუნველყოფს მოქალაქეების მაღალ ჩართულობას გადაწყვეტილების მიღების პროცესში. საჯარო დაწესებულების ანგარიშვალდებულება და გამჭვირვალობა კი კიდევ უფრო მაღალ საფეხურზე ადის.



- Consultations
  - Current
  - Forthcoming
  - Closed
  - Archive
  - About Consultations
  - seConsult



Subscribe to seConsult

Register here for regular email newsletters.

seConsult provides a weekly update on all consultations begining and ending that week.

Closed Consultations

| | Title | Closing Date |
|---|---|---|
| Details... | **Delivering Scotland's River Basin Management Plans: The Water Environment (Controlled Activities) (Scotland) Regulations 2011 - Proposed Amendments to General Binding Rules**<br>The consultation is to give stakeholders the opportunity to respond to propose... | 08/04/2012 |
| Details... | **The Tenancy Deposit Schemes (Scotland) Regulations 2011: Consultation on the terms of a tenancy deposit scheme proposed by Mydeposits Scotland**<br>The Tenancy Deposit Schemes (Scotland) Regulations 2011 came into force on 7 Ma... | 08/04/2012 |
| Details... | **The Secure Accommodation (Scotland) Regulations 2012**<br>Section 152 of the Children's Hearings (Scotland) Act 2011 effectively replicat... | 23/03/2012 |
| Details... | **Affordable Rented Housing: Creating flexibility for landlords and better outcomes for communities**<br>The consultation is to consider changes to how local authorities and Registered... | 30/04/2012 |
| Details... | **AHP National Delivery Plan - A Consultation**<br>A consultation on the AHP National delivery Plan is now available. The plan wi... | 30/04/2012 |
| Details... | **Consultation on the revised terms of a tenancy deposit scheme proposed by SafeDeposits Scotland**<br>This Consultation concerns revised terms and conditions of SafeDeposits Scotlan... | 18/03/2012 |
| Details... | **Scotland the Hydro Nation Prospectus and Proposals for Legislation Consultation**<br>Scotland The Hydro Nation: Prospectus for the Future and Proposals for Supporti... | 13/03/2012 |
| Details... | **Consultation on the European Commission's proposals for the future Common** | 24/04/2012 |

შოტლანდიის მთავრობის ვებ-გვერდზე არსებული დასრულებული კონსულტაციების განყოფილება

ვებ-გვერდზე განთავსებულია, ასევე, ინფორმაცია დაგეგმილი კონსულტაციების, მათი თემატიკისა და ვადების შესახებ. განთავსებულია, ასევე, ამგვარი ტიპის კონსულტაციების არქივიც.



- Consultations
  - Current
  - Forthcoming
  - Closed
  - Archive
  - About Consultations
  - seConsult



Subscribe to seConsult

Register here for regular email newsletters.

seConsult provides a weekly update on all consultations begining and ending that week.

Forthcoming Consultations

| | Title | Consultation Starts |
|---|---|---|
| Details... | **Integration of adult health and social care**<br>The purpose of the consultation is to provide an opportunity for public and pro... | Spring 2012 |
| Details... | **Consultation to update the caravan site licensing regime in Scotland.**<br>Consultation seeking views on proposals to update the caravan site licensing re... | Spring 2012 |
| Details... | **SAFEGUARDING SCOTLAND'S RESOURCES - A PROGRAMME FOR THE EFFICIENT USE OF OUR MATERIALS**<br>Achieving our vision of a zero waste society is about more than simply reducing... | Spring 2012 |
| Details... | **Consultation on a policy on architecture and place-making for Scotland**<br>To inform the future shape of policy in this area and help us to consider how o... | Spring 2012 |
| Details... | **The implementation of Council Regulation 1099/2009 on the protection of animals at the time of killing**<br>This consultation seeks views on the implementation of EU Regulation 1099/2009 ... | Spring 2012 |
| Details... | **Investing in and Paying for your Water Services from 2015**<br>Investing in and Paying for your Water Services from 2015 | Spring 2012 |
| Details... | **GETTING OUR PRIORITIES RIGHT**<br>The purpose of this Guidance is to provide an updated good practice framework f... | Spring 2012 |
| Details... | **National Confidential Forum – A consultation on the creation of a Forum for Adult Survivors of Childhood Abuse in Care** | Spring 2012 |

შოტლანდიის მთავრობის ვებ-გვერდზე კონსულტაციების განრიგი. გაყვითლებული კონსულტაციების არქივი

ბოლოს, უნდა აღინიშნოს ის ფაქტიც, რომ შოტლანდიის შემთხვევაში მთავრობის ყველა უწყებისა თუ სამინისტროს შესახებ ინფორმაცია ერთ ვებ-პორტალზეა კონცენტრირებული. მიუხედავად აღნიშნული ფაქტორისა, ერთიან რესურსზე მთავრობის ერთიან სტრატეგიასთან ერთად, თავმოყრილია ცალკეული სამინისტროებისა თუ მიმართულების სტრატეგიები, ამოცანები, ძირითადი პრიორიტეტები, მათ შესასრულებლად დაგეგმილი ღონისძიებები. გარდა ამისა, აქვეა განთავსებული ცალკეულ დარგებთან დაკავშირებით ჩატარებული კვლევები, სტატისტიკური მონაცემები, ახალი ამბები, კონკრეტული მიმართულების ფარგლებში დამტკიცებული პროგრამები, მიზნების მისაღწევად საჭირო გზები, დაფინანსების წყაროები, პროგრამების შეფასებისა და მონიტორინგის მექანიზმები, ინფორმაცია მონიტორინგის კომიტეტის წევრებისა და მათი შეხვედრების შესახებ.




შოტლანდიის მთავრობის ვებ-გვერდზე ერთ-ერთი მიმართულებისთვის დათმობილი ადგილი და მასზე არსებული ინფორმაცია




შოტლანდიის მთავრობის ვებ-გვერდზე ცალკეული მიმართულებებისთვის გამოყოფილი ადგილი




შოტლანდიის მთავრობის ვებ-გვერდზე პროგრამების შესახებ არსებული ინფორმაცია

## რეკომენდაციები

ერთი მხრივ, ქართულ რეალობაში არსებული გამოწვევებისა და აჭარის ა/რ მთავრობისა და სამინისტროების ოფიციალური ვებ-გვერდების კვლევით და მეორე მხრივ, შერჩეული უცხოური მაგალითის საუკეთესო პრაქტიკის ანალიზის საფუძველზე შეიქმნა სარეკომენდაციო პაკეტი დასახელებული ქართული დაწესებულებებისთვის. აღნიშნული სარეკომენდაციო წინადადებები მიზნად ისახავს ქართული საჯარო სივრცის ანგარიშვალდებულების დონის გაზრდას ელექტრონული გამჭვირვალობის პრაქტიკული დანერგვის გზით.

აღნიშნული წინადადებებისა და რეკომენდაციების ეტაპობრივი იმპლემენტაცია კიდევ უფრო გააუმჯობესებს აჭარის ა/რ მთავრობისა და სამინისტროების საქმიანობის გამჭვირვალობის ხარისხს მათი ვებ-გვერდების დახვეწის თვალსაზრისით. ასევე, შესაძლებელი გახდება მათ ოფიციალურ ელექტრონულ პორტალებზე უკვე განვითარებული სერვისების დახვეწა და ინოვაციური ელექტრონული მომსახურებების განვითარება.

- <u>საჯარო დაწესებულების ფუნქციების აღწერა:</u> სასურველია აჭარის ა/რ მთავრობისა და სამინისტროების ოფიციალურ ვებ-გვერდებზე განყოფილებაში „ჩვენ შესახებ“ წარმოდგენილი იყოს დეტალური ინფორმაცია ყველა უწყების ფუნქციების შესახებ, რაც მოიცავს ცნობებს სამთავრობო დაწესებულებების მისიის, მიზნებისა და უფლებამოსილებების შესახებ. აღნიშნული კომპონენტი მოქალაქეებს შეუქმნის წარმოდგენას ყველა უწყების საქმიანობისა და უფლებამოსილებების შესახებ.

- <u>საჯარო დაწესებულების ხელმძღვანელის შესახებ ინფორმაცია:</u> სასურველია აჭარის ა/რ მთავრობისა და სამინისტროების ოფიციალურ ვებ-გვერდებზე მათი ხელმძღვანელის ბიოგრაფიულ მონაცემებთან ერთად, არსებობდეს მათი კომპეტენციის, უფლებამოსილების, განცხადებების, მოხსენებების შესახებ ცნობები. ასევე, მნიშვნელოვანია განთავსებული იყოს მათ საქმიანობასთან დაკავშირებული სხვადასხვა სახის პუბლიკაციები, დოკუმენტები, მემორანდუმები, მიმართვები, საჯარო გამოსვლების ტექსტები.

  - <u>საჯარო დაწესებულების სტრუქტურა:</u> ვებ-გვერდებზე სასურველია არსებობდეს სამინისტროების უკლებლივ ყველა სტრუქტურული

ქვედანაყოფისა და მათი შიდა სტრუქტურული ერთეულის დასახელება და მათი საქმიანობების აღწერა, რაც უფრო თვალნათლივს გახდის სამინისტროების შიდასტრუქტურულ და ფუნქციონალურ იერარქიას. ასევე, თითოეული სტრუქტურული ერთეულის განყოფილებაში სასურველია მოიძებნებოდეს მათ საქმიანობასთან დაკავშირებული სამართლებრივი დოკუმენტები, კომპეტენცია, საქმიანობის აღწერა და სხვა დამატებითი ინფორმაცია.

- <u>საჯარო დაწესებულების სტრუქტურული ერთეულების შესახებ ინფორმაცია:</u> ყველა საჯარო დაწესებულების ოფიციალურ ვებ-გვერდზე სასურველია გამოქვეყნებული იყოს სამინისტროების ყველა სტრუქტურული ქვედანაყოფისა და მათი შიდა სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის ან მათი მოადგილის საკონტაქტო რეკვიზიტები: სამუშაო ელ-ფოსტა, მისაღების ტელეფონისა და ფაქსის ნომრები. სასურველია ხელმისაწვდომი იყოს სხვა თანამშრომლების საკონტაქტო ინფორმაციაც.

- <u>საჯარო დაწესებულების სტრატეგიული გეგმა:</u> საჯარო დაწესებულებების მიერ დასახული მიზნებისა და ამოცანების შესაფასებლად, სასურველია მათ ოფიციალურ ვებ-გვერდებზე განთავსებული იყოს უწყების სტრატეგიული გეგმა, რომელშიც განსაზღვრული იქნება რამდენიმე წლის განმავლობაში სამთავრობო უწყების:
  - ძირითადი მიზნები;
  - მიზნების შესასრულებლად დაგეგმილი ღონისძიებები;
  - უწყების წინაშე არსებული გამოწვევები;
  - მომავალში დაგეგმილი პროგრამებისა და პროექტების აღწერა - **დაგეგმილი პროგრამების/პროექტების სახელწოდება, მათი მიზნები, თავად პროგრამის სტატუსი (მაგალითად: „მიმდინარე“), მათი დასრულებისა და ანგარიშის წარდგენის საბოლოო ვადა, მათზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულის სახელწოდება**;
  - დაგეგმილი პროგრამებისა და პროექტების განხორციელებისთვის საჭირო თანხის ოდენობა;
  - დაგეგმილი პროგრამებისა და პროექტების შესრულების ეფექტურობის გაზომვის მაჩვენებლები/ინდიკატორები.

აღნიშნული დოკუმენტის შინაარსობრივ მხარესთან ერთად გასათვალისწინებელია ვებ-გვერდებზე მისი განთავსების ფორმაც. სასურველია იგი ქვესათაურების მიხედვით, გაშლილი ფორმით იყოს ატვირთული, მათ შორის HTML ფორმატით და დაინტერესებულმა პირმა მისთვის სასურველი ქვეთავის გაცნობა მთლიანი დოკუმენტის ჩამოტვირთვის გარეშე შეძლოს.

- <u>საჯარო დაწესებულების წლიური ანგარიში:</u> საჯარო დაწესებულებების განვლილი საქმიანობის შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობისთვის ვებ-გვერდებზე უნდა განთავსდეს უწყების წლიური ანგარიშები, სადაც შეფასებული იქნება ზოგადი საქმიანობის, პროექტებისა თუ ინიციატივების განხორციელება. აუცილებელია ანგარიშებში შეფასებული იყოს პროექტების ეფექტურობა და მათი აღსრულების ხარისხი. ამასთან ერთად, მნიშვნელოვანია არსებობდეს ინფორმაცია უწყებების ბიუჯეტის შესრულების, აქტივების და პასივების, სხვადასხვა ტიპის დანახარჯების, როგორიცაა ასიგნებები, გადარიცხვები, შესახებ. ანგარიშმა უნდა მოიცვას რიგი დეტალები:
    - საჯარო უწყების პრიორიტეტები;
    - საჯარო უწყების მისია, ფასეულობები და მიზნები;
    - მიმდინარე წლის გეგმები/ამოცანები;
    - მიზნის მიღწევის ინდიკატორები;
    - მთელი წლის განმავლობაში განხორციელებული პროექტების როგორც სტატისტიკური მონაცემები, ასევე ნარატიული ახსნა - წინასწარ განსაზღვრული ინდიკატორების საფუძველზე შეფასდეს მათი ეფექტურობა. დაკონკრეტებული უნდა იყოს თითოეულ განხორციელებულ პროექტზე დახარჯული თანხა;
    - საჯარო უწყების კომპეტენციის ფარგლებში გატარებული ზომები და მათი პრაქტიკაში დანერგვის ეფექტურობის შეფასება;
    - ცალკეული პროექტების დაფინანსების წყაროები, უწყების კონკრეტულ მიზნებზე დახარჯული თანხების ოდენობა;
    - ბოლო ორი წლის მონაცემების შედარება და მსგავსი ტიპის დანახარჯებზე არსებული ცვლილებების ტენდენციები და მიზეზები;
    - დასახული გეგმების შესრულების პროცენტული შეფასება.

საერთაშორისო პრაქტიკიდან გამომდინარე, საგულისხმოა, დამოუკიდებელი აუდიტორების მიერ წლიური ანგარიშის შეფასებების, ფინანსურ ბალანსში არსებული შეცდომების გამოვლენის, რეკომენდაციების შემუშავების ტრადიცია და შემდგომ მათი პროაქტიული გამოქვეყნება. სასურველია მსგავსი პრაქტიკის

საქართველოს საჯარო სივრცეში დანერგვა. ეს უზრუნველყოფს სამოქალაქო, საექსპერტო და არასამთავრობო სექტორის ჩართვას უწყებების საქმიანობის შეფასებაში.

- <u>საჯარო დაწესებულების ბიუჯეტი:</u> აჭარის ა/რ მთავრობისა და სამინისტროების გამჭვირვალობის უზრუნველსაყოფად მნიშვნელოვანია მათ ოფიციალურ ვებ-გვერდებზე ფინანსური ოპერაციებისა და ბიუჯეტის შესრულების ანგარიშების განთავსება. აღნიშნულ დოკუმენტში დასახელებული უნდა იყოს ყველა ის პროექტი, ღონისძიება, რომელიც განხორციელდა, მიმდინარეობს ან დაგეგმილია. დაკონკრეტებული უნდა იყოს მათ აღსრულებაზე გაწეული ყველა სახის (ადმინისტრაციული, საშტატო და ა.შ) ფინანსური ხარჯები, ფინანსური ვალდებულებები, სხვადასხვა ოპერაციებიდან მიღებული შემოსავლები. შეჯამებული უნდა იყოს მიმდინარე ინიციატივები და მათი შესრულების ანგარიშები. საგულისხმოა ანგარიშში საბიუჯეტო ბალანსის, სხვადასხვა მომსახურებაზე დახარჯული თანხების ზუსტი ოდენობის არსებობის აუცილებლობა. მნიშვნელოვანია, ასევე, დოკუმენტში აღწერილი იყოს საბიუჯეტო რესურსებიც. სასურველია, სტატისტიკურ და რიცხვობრივ მონაცემებთან ერთად, ანგარიშში მოცემული იყოს ფინანსური ოპერაციების ნარატიული განმარტებებიც.

  მნიშვნელოვანია, ასევე, რამდენიმე სახის ინფორმაციის პროაქტიული გამოქვეყნება:
  - მოულოდნელი ვალდებულებებით ბიუჯეტში შეტანილი ცვლილებები და აღნიშნული აქტივობებისთვის გამოყოფილი თანხების წყაროები;
  - ინფორმაცია სამინისტროების უძრავი ქონების ბალანსის შესახებ;
  - თავდაპირველად მოთხოვნილი და საბოლოოდ დამტკიცებული ასიგნებების ოდენობა;
  - კონკრეტული მიმართულებებისა და დასახული მიზნების მიხედვით, სხვადასხვა სახელმწიფო პროგრამისთვის გამიზნული თანხები, დანახარჯების განაწილების მიზნობრიობა.

მნიშვნელოვანია სამთავრობო დაწესებულებების ოფიციალურ ვებ-გვერდებზე განთავსებული იყოს პარლამენტისთვის წარდგენილი ბიუჯეტის პროექტი და მისი შესრულების გეგმა. ამასთან ერთად, სასურველია თანდართული იყოს საბიუჯეტო პროექტთან დაკავშირებით შემუშავებული რეკომენდაციები და კომენტარები.

- <u>საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობა/ღია მმართველობა:</u> საჯარო დაწესებულებების გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების თანამედროვე ინდიკატორი მათ ოფიციალურ ვებ-გვერდზე პროაქტიულად გამოქვეყნებული საჯარო ინფორმაციასთან დაკავშირებული ცნობებია. სასურველია, საჯარო დაწესებულებების ვებ-გვერდებზე შეიქმნას ღია მმართველობასთან დაკავშირებული განცალკევებული გვერდები. სადაც უნდა განთავსდეს:

  - საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის პროცედურებთან დაკავშირებული დაწვრილებითი ცნობები;
  - ინფორმაციის თავისუფლების გზამკვლევი, რომელშიც აღწერილი იქნება ინფორმაციის მოთხოვნის ძირითადი პროცედურები, ვადები, მოსაკრებლის ოდენობა, ადმინისტრაციული საჩივრებით მიმართვის წესები, საჯარო ინფორმაციაზე პასუხისმგებელი პირის საკონტაქტო რეკვიზიტები და სხვა ინფორმაცია;
  - საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის თუ ადმინისტრაციული წარმოების პროცედურებთან დაკავშირებული ტერმინების განმარტებითი ლექსიკონი.;
  - ძირითადი პროცედურებისა და ინფორმაციის ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებით კითხვა-პასუხის განყოფილება;
  - საჯარო ინფორმაციის მიღების პროცედურების გამარტივების მიზნით, საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის ელექტრონული ფორმა. რაც დაზოგავს როგორც მოქალაქის, ასევე თავად საჯარო დაწესებულების დროსა და რესურსებს. ამით, კიდევ უფრო გამარტივდება საჯარო ინფორმაციის გაცემასთან დაკავშირებული ბიუროკრატიული პროცედურები;
  - შესაბამისი სტატისტიკური მონაცემები მოთხოვნილი, გაცემული და უარყოფილი მოთხოვნების შესახებ. ვებ-გვერდებზე სასურველია განთავსდეს ინტერაქტიული რუკა, რომლის დახმარებითაც მომხმარებელი შეძლებს შეადაროს ყველა უწყების სტატისტიკური მონაცემები წლების, გაცემული პასუხების შინაარსისა და სხვა კატეგორიების მიხედვით;
  - ვებ-გვერდებზე უნდა განთავსდეს საჯარო ინფორმაციის ელ. სამკითხველო (მონაცემთა ბაზა), სადაც პროაქტიულად გამოქვეყნებული ინფორმაცია დალაგებული იქნება კატეგორიების მიხედვით. მათი

მოძიება შესაძლებელი უნდა იყოს როგორც საკვანძო სიტყვების, ასევე, თარიღებისა და თემატიკის მიხედვით.

- პროაქტიულად გამოქვეყნებული ინფორმაციის მონაცემთა ბაზის განყოფილებაში სასურველია არსებობდეს ადმინისტრაციული ხარჯების შესახებ პროაქტიულად გამოქვეყნებული შემდეგი სახის ინფორმაცია:
- თანამდებობის პირთა სახელფასო განაკვეთები და დანამატები;
- თანამდებობის პირთა მიერ მიღებული პრემიების შესახებ ინფორმაცია;
- თანამდებობის პირთა ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციები;
- თითოეული უწყების მთლიანი დანახარჯები და ფინანსური რესურსების განკარგვის დეტალური აღწერა;
- თანამდებობის პირთა სამივლინებო დანახარჯები დროისა და მგზავრობის მიზეზის დაზუსტებით;
- ოფიციალური შეხვედრების, მიღებების, საჩუქრების შესახებ ინფორმაცია - სტუმრის ვინაობის, ვიზიტის მიზნის, გაწეული ხარჯის ოდენობის, საჩუქრის ტიპის დასახელებით.

ზოგადად, სასურველია ამ განყოფილებაში გამოქვეყნებული ინფორმაცია კლასიფიცირებული იყოს კატეგორიების მიხედვით. კერძოდ, ცალკე განთავსდეს უწყების საქმიანობასთან, ხარჯებთან, პრიორიტეტებთან, გადაწყვეტილების მიღების პროცესთან, მუშაობის შედეგებთან და ა.შ დაკავშირებით პროაქტიულად გამოქვეყნებული მონაცემები. სასურველია, ვებ-გვერდებზე განთავსდეს პროაქტიულად გამოქვეყნებული დოკუმენტების საძიებო სისტემა, სადაც შესაბამისი ინფორმაციის მოძიება შესაძლებელია მათი სახეობის, დარეგისტრირების დროის, ნომრის, დეპარტამენტისა და ნებისმიერი საძიებო სიტყვის მითითებით.

- ამავე განყოფილებაში განთავსებული უნდა იყოს საჯარო ინფორმაციის მოთხოვნით შემოსულ განცხადებებისა და გაცემული პასუხების განახლებადი რეესტრი - საჯარო ინფორმაციის ელექტრონული რეესტრი (განცხადების შინაარსი, პასუხის სტატუსი).
- ვებ-გვერდებზე, საჯარო ინფორმაციისთვის დათმობილ განყოფილებაში, უნდა არსებობდეს შესაბამის სამართალწარმოებასთან დაკავშირებული ქვე-განყოფილება. აღნიშნულ გვერდებზე სასურველია განთავსდეს საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის არ დაკმაყოფილების ადმინისტრაციული გასაჩივრების ელექტრონული ფორმები. ასევე, აუცილებელია აღწერილი იყოს აღნიშნული ტიპის მიმართვების პროცედურა. გარდა ამისა, აქვე უნდა იყოს განთავსებული ცნობები საჯარო ინფორმაციის მოთხოვნასთან დაკავშრებით

გამართული სასამართლო დავების შესახებ და სასამართლო გადაწყვეტილებები. არსებული ინფორმაციის მარტივად მოძიების მიზნით, ისინი დალაგებული უნდა იყოს გადაწყვეტილების მიღების თარიღისა და თემატიკის მიხედვით (იხილეთ დანართი 1).

- <u>პუბლიკაციები:</u> სასურველია აჭარის ა/რ მთავრობისა და სამინისტროების ოფიციალურ ვებ-გვერდებზე არსებობდეს განყოფილება „პუბლიკაციები", სადაც გამოქვეყნდება მათი ყველა სტრუქტურული ერთეულის მიერ მომზადებული ანგარიშები, კვლევები მათ კომპეტენციაში შემავალი საკითხების შესახებ. უკეთესია სხვადასხვა ტიპის ანგარიშები და კვლევითი მასალები დალაგებული იყოს რამდენიმე კატეგორიის მიხედვით, რაც გაამარტივებს მომხმარებლისთვის სასურველი ინფორმაციის მოძიებას. ამავე განყოფილებაში შეიძლება გამოქვეყნდეს მათ საქმიანობასთან დაკავშირებული სტატისტიკური მონაცემები და მათი მიმოხილვები.

- <u>საჯარო განხილვების განყოფილება:</u> მოქალაქეებთან ეფექტური კომუნიკაციის დასანერგად და ცალკეული უწყების საქმიანობაში მათი ჩართულობის დონის ასამაღლებლად აჭარის ა/რ მთავრობისა და სამინისტროებისთვის სასარგებლო იქნება ელექტრონული კომუნიკაციის შესაბამისი პლატფორმის დანერგვა. აღნიშნული პლატფორმის ინტეგრირებით საზოგადოებას საშუალება მიეცემა დაამყაროს პირდაპირი ინტერაქციული კავშირი საჯარო დაწესებულებების პასუხისმგებელ პირებთან, გააჟღეროს საკუთარი მოსაზრებები და წინადადებები, დააფიქსიროს არსებული პრობლემები. სასურველია ჩატარებული საჯარო დისკუსიების საფუძველზე შემუშავდეს ანგარიში, სადაც სამთავრობო უწყებების მიერ შეჯამებული იქნება საზოგადოების მიერ იდენტიფიცირებული საკითხები და დასახული იქნება მათი გადაჭრის გზები.

- <u>სიახლეების განყოფილება:</u> ყველა საჯარო დაწესებულება საკუთარი საქმიანობის შესახებ მოსახლეობის ინფორმირების მიზნით ვებ-გვერდზე იყენებს სიახლეების განყოფილებას. თუმცა, მათი გადმოცემისა და განლაგების ფორმა დაინტერესებული პირების მიერ სასურველი ინფორმაციის მარტივად მოძიების შესაძლებლობაზეც აისახება. სასურველია აჭარის ა/რ მთავრობისა და სამინისტროების ვებ-გვერდებზე სიახლეების განყოფილებაში

განთავსებული ცნობების კლასიფიკაცია და კატეგორიზაცია (მაგ. პრეს რელიზების, გამოსვლების, განცხადებების განყოფილებების შექმნით).

რაც შეეხება ცალკეული ღონისძიებების შესახებ არსებულ ინფორმაციას, სასურველია ისინი განაწილებული იყოს მათი განმახორციელებელი სტრუქტურული ერთეულების მიხედვით. შედეგად, სიახლეების განყოფილებაში ახალი ამბები წარმოდგენილი იქნება როგორც ერთიანი ფორმატით, ასევე სხვადასხვა სტრუქტურული ერთეულების მიხედვით. ასევე მნიშვნელოვანია ცალკეული უწყების ვებ-გვერდზე სიახლეების არქივის შესაბამისი სტრუქტურირება.

- <u>საჯარო დაწესებულების საკადრო უზრუნველყოფა:</u> საჯარო დაწესებულებების საკადრო პოლიტიკის გამჭვირვალობის უზრუნველსაყოფად მნიშვნელოვანია მათ ვებ-გვერდებზე არსებობდეს სხვადასხვა საჯარო თანამდებობის დასაკავებლად გამოცხადებული საკონკურსო განცხადები. მნიშვნელოვანია დეტალურად იყოს აღწერილი ვაკანტური თანამდებობის ფარგლებში გათვალისწინებული ვალდებულებები, საკვალიფიკაციო მოთხოვნები, ვაკანტური პოზიციის სახელფასო განაკვეთი და განცხადების გასაგზავნად განსაზღვრული ვადები. შესაძლებელი უნდა იყოს განცხადების ონლაინ შევსება.

  აჭარის ა/რ მთავრობისა და სამინისტროების ვებ-გვერდებზე სასურველია არსებობდეს ცნობები თითოეულ უწყებაში არსებული საჯარო თანამდებობების შესახებ, დეტალური ინფორმაცია დაწესებულებებში არსებული სხვადასხვა პოზიციებისა და ამ პოზიციებზე გათვალისწინებული უფლება-მოვალეობების შესახებ.

  გარდა ამისა, სასურველია აღნიშნული სამთავრობო დაწესებულებების ელექტრონულ რესურსზე მოიძებნებოდეს ინფორმაცია თანამდებობებით გათვალისწინებული ბენეფიტების, ჯანმრთელობისა და სოციალური დაზღვევის, სამუშაო რეჟიმის, შვებულებების პირობების შესახებ. კიდევ ერთი საგულისხმო დეტალია ვებ-გვერდებზე ვაკანსიების საძიებო სისტემის არსებობა. ამით მომხმარებელს საჯარო დაწესებულებებში სამსახურის მოძებნა შეეძლება ხელფასის ოდენობის, თანამდებობისა და ნებისმიერი საძიებო სიტყვის მითითებით.

  ამავდროულად, მნიშვნელოვანია აჭარის ა/რ მთავრობისა და სამინისტროების ვებ-გვერდებზე მოიძებნებოდეს ინფორმაცია სტაჟირების შესახებ. აქ

დეტალურად უნდა იყოს აღწერილი სტაჟირების გავლისთვის აუცილებელი საკვალიფიკაციო მოთხოვნები და სხვა რელევანტური ცნობები.

- <u>უცხო ქვეყნებთან თანამშრომლობა:</u> საჯარო დაწესებულებების საქმიანობიდან გამომდინარე უწყებებისთვის ხშირად მნიშვნელოვანია უხცოური ექსპერტიზის გამოყენება, რა მიზნითაც ხშირად იმართება შეხვედრები, ტრენინგები და სხვადასხვა ტიპის ღონისძიებები უცხოური ქვეყნებისა და ორგანიზაციის წარმომადგენლებთან და პარტნიორებთან. აჭარის ა/რ მთავრობისა და სამინისტროების ვებ-გვერდებზე მსგავსი ტიპის ინფორმაცია, საუკეთესო შემთხვევაში, ახალი ამბების განყოფილებაშია მოცემული. უცხოური მაგალითების გათვალისწინებით, სასურველია, ვებ-გვერდებზე წარმოდგენილი იყოს შემდეგი ტიპის ცნობები:
  - ინფორმაცია განხორციელებული ვიზიტების, მათი ზუსტი თარიღის, მასპინძელი ორგანიზაციის შესახებ;
  - ინფორმაცია შეხვედრების მიზნების/დანიშნულების შესახებ;
  - შეხვედრაზე განხილული საკითხების შედარებით დეტალური აღწერა;
  - არსებობის შემთხვევაში მხარეებს შორის გაფორმებული შეთანხმებისა და მემორანდუმის შესახებ ცნობები;
  - ინფორმაცია ვიზიტების შედეგების შესახებ;
  - ინფორმაცია საერთაშორისო ორგანიზაციებთან ერთად ჩატარებული პროექტებისა და ტრენინგების შესახებ;
  - ინფორმაცია საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ თითოეული უწყების საქმიანობასთან დაკავშირებით შემუშავებული ანგარიშების შესახებ.

- <u>დამოუკიდებელი ორგანიზაციების ანგარიშები:</u> სასურველია დამკვიდრდეს გარე, არასამთავრობო აქტორების მიერ საჯარო დაწესებულების საქმიანობის ეფექტურობის შეფასების პრაქტიკაც. კვლევის შედეგად დადგინდა, რომ რამდენიმე წელიწადში ერთხელ დამოუკიდებელი ორგანიზაციები აფასებენ უცხოური დაწესებულებების საქმიანობის ეფექტურობას, ფინანსური ოპერაციების სიზუსტეს და მის წინაშე არსებული ამოცანების შესრულების ხარისხს.
- <u>სამართლებრივი აქტები:</u> სასურველია აჭარის ა/რ-ის მთავრობის ვებ-გვერდზე სამართლებრივი აქტების განყოფილებაში მოცემული იყოს ცენტრალური და ადგილობრივი მთავრობების კომპეტენციების, უფლებამოსილებების გამმიჯნავი სამართლებრივი აქტები. ასევე, მნიშვნელოვანია ელექტრონულ

პორტალებზე წარმოდგენილი იყოს მთავრობისა და ყველა სამინისტროს საქმიანობასთან დაკავშირებული ინდივიდუალურ სამართლებრივი აქტები, კანონები, ბრძანებულებები, კანონპროექტები.
ამასთან ერთად, ნავიგაციის გასამარტივებლად, შესაძლებელია განთავსდეს სამართლებრივი დოკუმენტების საძიებო სისტემა, სადაც შესაძლებელი იქნება დაწვრილებითი ინფორმაციის მოძიება, როგორც დოკუმენტების შინაარსის, ასევე, თარიღების მიხედვით.

- <u>გადაწყვეტილების მიღების პროცედურების გზამკვლევი:</u> უცხოური პრაქტიკის გათვალისწინებით, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობისა და სამინისტროების საქმიანობას უფრო გამჭვირვალეს გახდის მათ ოფიციალურ ვებ-გვერდებზე გადაწყვეტილების მიღების პროცედურების გზამკვლევის განთავსება. მასში აღწერილი იქნება ხელისუფლებაში არსებული გადაწყვეტილებების მიღების პროცესის დეტალური სტრუქტურა, ამ პროცესში ყველა უწყების, მათ შორის, მთავრობის ხელმძღვანელის როლი. გზამკვლევში სასურველია განთავსებული იყოს ცნობები აღმასრულებელი ხელისუფლების დღის წესრიგის შემუშავების პროცედურების შესახებ, აღწერილი იყოს მათი საქმიანობის ბუნება და არსი.

- <u>სამთავრობო სხდომები:</u> აჭარის ა/რ მთავრობისა და სამინისტროების ვებ-გვერდებზე, აგრეთვე, სასურველია სამთავრობო სხდომებისა და მათზე განხილული საკითხების შესახებ ინფორმაციის განთავსება. კერძოდ, დაკონკრეტებული უნდა იყოს მთავრობისა სხდომების თარიღები, აღწერილი უნდა იყოს მათზე განხილული თემები. აღნიშნული ინფორმაცია რეგულარულად უნდა ახლდებოდეს.
  ამას გარდა, სასურველია მთავრობისა და სამინისტროების ელექტრონულ რესურსებზე წარმოდგენილი იყოს გასული წლების სამთავრობო სხდომების ანგარიშები, სადაც ნაჩვენები იქნება მთელი წლის განმავლობაში ჩატარებული შეხვედრების ნუსხა, მასზე განხილული საკითხების მიმოხილვით.

- <u>ღონისძიებებთან დაკავშირებული ცნობები:</u> თითოეული საჯარო დაწესებულების საქმიანობის გამჭვირვალობის მაღალი დონის უზრუნველსაყოფად სასურველია მათ ოფიციალურ ვებ-გვერდებზე წარმოდგენილი იყოს უწყებების მიერ ჩატარებული სხვადასხვა ღონისძიებებისა და აქტივობების აღწერა, მათი გამართვის მიზეზები, მათზე გაწეული ხარჯები.

დანართი 1: დაწესებულებების საჯარო ინფორმაციის გვერდის სტრუქტურის ნიმუში



## საჯარო ინფორმაციის მოთხოვნების სტატისტიკური კვლევა

სამიზნე საჯარო დაწესებულებების მიერ საქართველოს ადმინისტრაციული კოდექსის მე-3 თავით განსაზღვრული ვალდებულების შესრულების სტატისტიკური ანალიზისათვის, ინფორმაციის თავისუფლების ფან ვითარების ინსტიტუტმა პირველ რიგში გამოიყენა საკუთარ მონაცემთა ბაზები. 2010-2011 წლებში IDFI-ი კვლევის სამიზნე დაწესებულებებიდან რეგულარულად ითხოვდა საჯარო ინფორმაციას. ამავე დროს სრულყოფილი კვლევის ჩატარების მიზნით IDFI-იმ აღნიშნული სახელმწიფო ინსტიტუტებიდან გამოითხოვა 2009-2012 წლების განმავლობაში საჯარო ინფორმაციის მოთხოვნებით შესული განცხადებები და მათზე გაცემული პასუხები. აგრეთვე გამოთხოვილი იქნა ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 49-ე მუხლის შესაბამისად დაწესებულებების მიერ შედგენილი და საქართველოს პარლამენტსა და საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციაში გადაგზავნილი ინფორმაციის თავისუფლების მდგომარეობის 2009, 2010 და 2011 წლების ანგარიშები (ე.წ. 10 დეკემბრის ანგარიშები).

ანალიზის შედეგად შედგა აჭარის ა/რ მთავრობის, აჭარის ა/რ ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს, აჭარის ა/რ სოფლის მეურნეობის სამინისტროს, აჭარის ა/რ ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს, აჭარის ა/რ განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს, საქართველოს კონტროლის პალატის, საჯარო სამსახურის ბიუროს, კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს მიერ ბოლო წლებში საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-3 თავით განსაზღვრული ვალდებულების შესრულების სტატისტიკური ანალიზი.

ამავე დროს, აღნიშნული საჯარო ინფორმაციის ანალიზის შედეგად, გამოიკვეთა ის საკითხები, რომლებიც ყველაზე მეტად აინტერესებს საზოგადოებას სამიზნე საჯარო დაწესებულებების საქმიანობიდან გამომდინარე. შესაბამისად ყველაზე მოთხოვნადი საჯარო ინფორმაციის დადგენით, შესაძლებელი გახდა იმ საკითხთა ჩამონათვალის განსაზღვრა, რომლებიც რეკომენდირებული იქნება პროაქტიულად გამოქვეყნებისთვის.

საჯარო ინფორმაციის მოთხოვნებზე ადმინისტრაციული ორგანოების პასუხების ანალიზის შედეგად, გამოვლინდა ის ხარვეზები, რომლებიც აბრკოლებენ სამიზნე საჯარო დაწესებულებების გამჭვირვალე და მოქალაქეების ინტერესებზე გათვალისწინებულ საქმიანობას.

## კვლევის მეთოდოლოგია

### ანალიზის აღწერა

ზემოთაღნიშნული მიზნის მისაღწევად პროექტის ფარგლებში გაანალიზებულ იქნა 2009-2010-2011 წლებში (და ზოგ შემთხვევაში ასევე 2012) საქართველოს 9 საჯარო დაწესებულებაში შესული საჯარო ინფორმაციის მოთხოვნათა განცხადებები. კვლევამ მოცვა როგორც ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის მიერ პროექტ „საჯარო ინფორმაციის მონაცემთა ბაზის“ ფარგლებში გაგზავნილი, ისე სხვა ფიზიკური თუ იურიდიული პირების მიერ გაგზავნილი განცხადებები, რომლებიც თავად აღნიშნული საჯარო დაწესებულებების მიერ იქნა მოწოდებული.

### მეთოდები

ანალიზი მოიცავს სტატისტიკურ და თვისობრივ კომპონენტებს. სტატისტიკურად დაითვალა მოცემული წლების განმავლობაში მიღებული მოთხოვნების რაოდენობა, საკითხების აქტუალობა, ვადების დაცვით/დარღვევით გაცემული პასუხების რაოდენობა. შინაარსობრივად გაანალიზდა თითოეულ მოთხოვნაზე საჯარო დაწესებულების მიერ გაცემული პასუხი, იმ მიზნით, რომ დაგვედგინა პასუხის მოთხოვნასთან შესაბამისობა. ამ კუთხით გამოყოფილ იქნა ოთხი ძირითადი კატეგორია: სრულყოფილი პასუხი, არასრულყოფილი პასუხი, უარი და იგნორირება (აღნიშნული შეფასების სისტემა რამდენიმე წლის მანძილზეა აპრობირებული ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის მიერ პროექტის -„საჯარო ინფორმაციის მონაცემთა ბაზა“ ფარგლებში).

პასუხის კატეგორიების განსაზღვრა დამოკიდებულია: ა) განცხადების შინაარსზე; ბ) გაცემულ პასუხზე; გ) საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრულ უფლება-მოვალეობებსა და შეზღუდვებზე. ამ ყოველივეს გათვალისწინების შემდეგ, თუ ინფორმაცია სრულად პასუხობს მოთხოვნას (მოთხოვნილი ინფორმაციის მიწოდების ფორმის ჩათვლით), ის მიიჩნევა სრულყოფილად; ნაწილობრივ დაკმაყოფილებული პასუხი - არასრულყოფილად; თუკი წერილში განმარტებულია ინფორმაციის არ გაცემის საფუძვლები - დასაბუთებულ უარად; ხოლო იმ შემთხვევაში, თუკი პასუხად გაგზავნილ წერილში საერთოდ არ არის ნახსენები განცხადების თანახმად მოთხოვნილი საჯარო ინფორმაცია - იგნორირებად. ამ კატეგორიების მიხედვით გადანაწილებული პასუხები ასევე დაჯგუფდა: წლების, აქტუალობის, ვადების დაცვის მიხედვით.

აღსანიშნავია აგრეთვე ის გარემოება, რომ სტატისტიკური კვლევის პროცესში საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის ერთ კონკრეტულ განცხადებებში ჩამოთვლილი სხვადასხვა მოთხოვნები (საკითხები) განცალკევებულ მოთხოვნებად იქნა მიჩნეული.

## პროექტის სამიზნე საჯარო დაწესებულებების 10 დეკემბრის ანგარიშების ანალიზი

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის (შემდგომში სზაკ-ი) 49-ე მუხლის

**სზაკ-ის 49 მუხლი. ანგარიშის წარდგენა**
ყოველი წლის 10 დეკემბერს საჯარო დაწესებულება ვალდებულია წარუდგინოს ანგარიში საქართველოს პრეზიდენტს და პარლამენტს:

ა) *საჯარო დაწესებულებაში შესული საჯარო ინფორმაციის გაცემისა და საჯარო ინფორმაციაში შესწორების შეტანის მოთხოვნათა რაოდენობის შესახებ და მოთხოვნაზე უარის თქმის თაობაზე მიღებულ გადაწყვეტილებათა რაოდენობის შესახებ;*
**ბ)** *მოთხოვნის დაკმაყოფილების ან მასზე უარის თქმის თაობაზე მიღებულ გადაწყვეტილებათა რაოდენობის, გადაწყვეტილების მიმღები საჯარო მოსამსახურის ვინაობის, აგრეთვე კოლეგიური საჯარო დაწესებულების მიერ საკუთარი სხდომის დახურვის შესახებ მიღებული გადაწყვეტილების შესახებ;*
**გ)** *საჯარო მონაცემთა ბაზების;*
**დ)** *საჯარო მოსამსახურეთა მიერ ამ კოდექსის მოთხოვნების დარღვევის რაოდენობისა და პასუხიმგებელ პირებზე დისციპლინური სახდელის დადების შესახებ.*
**ე)** *იმ საკანონმდებლო აქტების შესახებ, რომლებსაც დაწესებულება ეყრდნობოდა საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმისას ან კოლეგიური საჯარო დაწესებულების სხდომის დახურვისას;*
**ვ)** *საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის შესახებ მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრების შესახებ;*
**ზ)** *საჯარო დაწესებულების მიერ ინფორმაციის დამუშავებასა და გაცემასთან, აგრეთვე ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის შესახებ მიღებული გადაწყვეტილების ან კოლეგიური საჯარო დაწესებულების სხდომის დახურვის თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრებასთან დაკავშირებული ხარჯების, მათ შორის მხარის სასარგებლოდ გადახდილი თანხების შესახებ.*

თანახმად საჯარო დაწესებულება ვალდებულია მოამზადოს საჯარო ინფორმაციის გაცემის ანგარიშები და წელიწადში ერთხელ, ყოველი წლის 10 დეკემბერს წარუდგინოს ისინი საქართველოს პარლამენტსა და პრეზიდენტს. ანგარიშის შინაარსი განსაზღვრულია სზაკის 49-ე მუხლით. მასში უნდა აისახოს საჯარო ინფორმაციის მოთხოვნების რიცხვი, მოთხოვნის დაკმაყოფილების ან უარის თაობაზე მიღებულ გადაწყვეტილებათა რაოდენობა, იმ პირის ვინაობა ვინც აღნიშნულ გადაწყვეტილებებს იღებს, ინფორმაცია იმ სამართლებრივი აქტების შესახებ, რომლითაც დაწესებულება გადაწყვეტილების მიღების

პროცესში ხელმძღვანელობს, ასევე მონაცემები ინფორმაციის დამუშავებისა და გაცემის, უარის გასაჩივრების ხარჯებისა და სასამართლო სახდელების შესახებ.

სზაკ-ის 49-ე მუხლით გათვალისწინებული ანგარიშის წარდგენა შესაძლებელს ხდის და აადვილებს არამარტო ხელისუფლების მხრიდან (საქართველოს პარლამენტი და საქართველოს პრეზიდენტი), არამედ საზოგადოების მხრიდანაც, საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის კონტროლს. პროექტის ფარგლებში „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტმა“ 49-ე მუხლის მოთხოვნების შესრულების შესწავლის მიზნით 9 სამიზნე საჯარო დაწესებულებიდან (იუსტიციის სამინისტრო, აჭარის მთავრობა და აჭარის სამინისტროები, კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო, კონტროლის პალატა, საჯარო სამსახური ბიურო) გამოითხოვა 2009, 2010 და 2011 წლებში ადმინისტრაციული ორგანოების მიერ გაგზავნილი 10 დეკემბრის ანგარიშები. სამწუხაროდ სახელმწიფო შესყიდვებისა და კონკურენციის სააგენტოდან აღნიშნული ინფორმაცია ვერ მივიღეთ.

## აჭარის ა/რ სოფლის მეურნეობის სამინისტრო

რაც შეეხება აჭარის სოფლის მეურნეობის სამინისტროს ანგარიშებს, სზაკ-ის 49-ე მუხლში მოყვანილი შვიდი პუნქტიდან, რომლის შესაბამისადაც უნდა მოხდეს ინფორმაციის თავისუფლების შესახებ ანგარიშის შედგენა, მხოლოდ ორი მუხლია გათვლისწინებული. კერძოდ შესულია განცხადებების რაოდენობა და ინფორმაცია განცხადებებში შესწორების შეტანის შესახებ. ინფორმაციის დამუშავებისა და გაცემის ხარჯებზე და სხვა დანარჩენ საკითხებზე სოფლის მეურნეობის სამინისტროს წერილებში ინფორმაცია მოცემული არ არის.

## დასკვნა

ანალიზის შედეგად ჩანს, რომ საჯარო დაწესებულებების უმეტესობა ნაკლებად თვალისწინებს სზაკ-ის 49-ე მუხლით დადგენილ მოთხოვნებს 10 დეკემბრის ანგარიშის შედგენისას. შეიძლება ითქვას რომ თითოეულ დაწესებულებას ანგარიშების შედგენის საკუთარი სტანდარტი აქვს. ერთი საჯარო უწყების მიერ სამივე წელს წარდგენილი ანგარიში ერთმანეთის მსგავსია. შერჩეულია გარკვეული პუნქტები რომლებზეც სტანდარტული პასუხებია გაცემული.

სზაკის 49-ე პუნქტით გათვალისწინებული 7 პუნქტიდან მხოლოდ ორი პუნქტია ისეთი, რომელზეც ინსტიტუტის მიერ შესწავლილ ყველა ანგარიშშია მოცემული ინფორმაცია - საჯარო ინფორმაციის გაცემის მოთხოვნების რაოდენობა და საჯარო ინფორმაციაში შესწორების მოთხოვნის შეტანის საკითხი.

2009-2011 წლის ანგარიშების შედარებამ აჩვენა რომ წლიდან წლამდე ძირითადად მხოლოდ მოთხოვნილი ინფორმაციის რაოდენობრივი მონაცემები იცვლება და არ ხდება არსებული ხარვეზების გამოსწორება. ანგარიშებში ასახული მონაცემები უმეტეს შემთხვევაში არასრულყოფილია, არ შეესაბამება სზაკ-ის მოთხოვნებს და აქედან გამომდინარე ნაკლებად ასახავს ინფორმაციის თავისუფლებასთან დაკავშირებულ რეალურ ვითარებას.

რჩება შთაბეჭდილება, რომ საჯარო დაწესებულებების მხრიდან ინფორმაციის თავისუფლების შესახებ ანგარიშების წარდგენას მხოლოდ ფორმალური სახე აქვს და არ ხდება ზემდგომი დაწესებულებებისათვის სრული ინფორმაციის მიწოდება. სამწუხაროდ მაკონტროლებელი ორგანოებიც ნაკლები სერიოზულობით ეკიდებიან აღნიშნულ საკითხს, რადგან არც პრეზიდენტის ადმინისტრაცია და არც პარლამენტი არ ახდენს შესაბამის რეაგირებას არასრულყოფილად შედგენილ ანგარიშებზე, არ ხდება მათი შესწავლა და კანონთან შესაბამისობაში მოყვანა .

ვფიქრობთ, რომ პრობლემის გამომწვევი ძირითადი ფაქტორი ანგარიშის სტანდარტიზირებული ფორმის არ არსებობაა, გამოსავალი კი საჯარო დაწესებულებების ხელმძღვანელი თანამდებობის პირების მიერ ამგვარი ფორმის დამტკიცების შესახებ სამართლებრივი აქტის გამოცემა შეიძლება იყოს.

## რეკომენდაცია:

საჯარო დაწესებულებების ხელმძღვანელი თანამდებობის პირების მიერ ნორმატიულ ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტის საფუძველზე დამტკიცდეს 10 დეკემბრის ანგარიშის ფორმა.

## ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის შესახებ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 49-ე მუხლის შესაბამისად განსაზღვრული ანგარიშის ფორმა

საქართველოს პრეზიდენტს / საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს

ბატონ / ქალბატონ

საჯარო დაწესებულების | | სახელწოდება

**ა. მონაცემები საჯარო ინფორმაციის მოთხოვნათა დაკმაყოფილების შესახებ**

| საჯარო ინფორმაციის მოთხოვნათა საერთო რაოდენობა | დაკმაყოფილებული მოთხოვნათა რაოდენობა | გადაწყვეტილების მიმღები საჯარო მოსამსახურე (სახელი, გვარი, თანამდებობა) | ინფორმაციის დამუშავებისა და გაცემის ხარჯები |
|---|---|---|---|
| | | | |

ბ. მონაცემები საჯარო ინფორმაციის მოთხოვნების არ დაკმაყოფილების შესახებ

| არ დაკმაყოფილებული მოთხოვნების რაოდენობა | უარის თქმის საფუძველები (შესაბამისი საკანონმდებლო აქტები) | გადაწყვეტილების მიმღები საჯარო მოსამსახურე (სახელი, გვარი, თანამდებობა) | გასაჩივრებასთან დაკავშირებული ხარჯები | მომჩივანი მხარის სასარგებლოდ სასამართლოს მიერ დაკისრებული თანხის ოდენობა |
|---|---|---|---|---|
| | | | | |

გ. მონაცემები საჯარო ინფორმაციაში შესწორების შეტანის შესახებ

| საჯარო ინფორმაციაში შესწორების შეტანის მოთხოვნათა რაოდენობა | გადაწყვეტილების მიმღები საჯარო მოსამსახურე (სახელი, გვარი, თანამდებობა) |
|---|---|
| | |

### დ. მონაცემები საჯარო მონაცემთა ბაზების შესახებ

| საჯარო მონაცემთა ბაზების ჩამონათვალი | საჯარო მონაცემთა ბაზების აღწერილობა |
|---|---|
| | |

### ე. მონაცემები კოლეგიური საჯარო დაწესებულების სხდომის დახურვის თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების შესახებ

| კოლეგიური საჯარო დაწესებულების სხდომის დახურვის თაობაზე მიღებული გადაწყვეტილებების რაოდენობა | სხდომის დახურვის საფუძველი - შესაბამისი საკანონმდებლო აქტები | გასაჩივრებასთან დაკავშირებული ხარჯები | მომჩივანი მხარის სასარგებლოდ სასამართლოს მიერ დაკისრებული გადასახდელი თანხის ოდენობა |
|---|---|---|---|
| | | | |

**ვ. მონაცემები საჯარო მოსამსახურეთა მიერ სზაკ-ის მოთხოვნების დარღვევის რაოდენობისა და პასუხიმგებელ პირებზე დისციპლინური სახდელის დადების შესახებ**

| საჯარო მოსამსახურეთა მიერ ზაკ-ის მოთხოვნების დარღვევის რაოდენობა | დარღვევებზე პასუხიმგებელ პირებზე დისციპლინური სახდელის დადების რაოდენობა |
|---|---|
| | |

ხელმოწერა: თარიღი:

## აჭარის ა/რ სოფლის მეურნეობის სამინისტრო 2009 -2011 წწ.

აჭარის სოფლის მეურნეობის სამინისტროში 2009-2011 წლებში საჯარო ინფორმაციის 205 მოთხოვნა გაიგზავნა. წლების მიხედვით მოთხოვნების რაოდენობა შემდეგნაირად ნაწილდება: 2009 წელს - 56, 2010 წელს - 24, 2011 წელს სამინისტროსთვის გაგზავნილი მოთხოვნების რიცხვი მკვეთრად გაიზარდა და 125 შეადგინა.




რაც შეეხება მოთხოვნილი ინფორმაციის შინაარსს აჭარის ა/რ სხვა სამინისტროების მსგავსად, ყველაზე აქტუალური ამ შემთხვევაშიც პროექტებთან და პროგრამებთან დაკავშირებული საკითხებია.



205 შეკითხვიდან 110 სხვადასხვა სოციალურ, მიზნობრივ და ამა თუ იმ სფეროს განვითარებაზე მიმართულ პროექტებსა და პროგრამებს ეხება. მარტო 2011 წელს სამინისტროში პროექტების განხორციელების ანგარიშებთან დაკავშირებული 68 მოთხოვნა გაიგზავნა.

რაოდენობრივად მეორე ადგილს იკავებს ავტოპარკის ხარჯებთან დაკავშირებული მოთხოვნები. ყველა მათგანი 2011 წელს იქნა გაგზავნილი. ხშირია ასევე კითხვები ხელფასებზე, პრემიებზე, და სახელმწიფო შესყიდვებზე.




სოფლის მეურნეობის სამინისტრომ მოთხოვნების უმეტესობა (შესაბამისად პროექტებზე მოთხოვნილი ინფორმაციის დიდი ნაწილი) სრულად დააკმაყოფილა და შეკითხვების 88 პროცენტს სრულყოფილი პასუხი გასცა. არასრულყოფილია

გაგზავნილი ინფორმაციის მხოლოდ 5%. მოთხოვნების 7% სამინისტრომ უპასუხოდ დატოვა, ხოლო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის გადაწყვეტილება 2009-2011 წლებში არცერთხელ არ მიუღია.




ნაწილობრივ გასცა პასუხი სოფლის მეურნეობის სამინისტრომ ავტოპარკთან დაკავშირებულ მოთხოვნებს, არასრულყოფილია და ვებ-გვერდზე გადამისამართებას მოიცავს სამართლებრივ აქტებზე დასმული კითხვების პასუხები.

სამინისტრომ სრულად არ გასცა საბიუჯეტო ასიგნებების ხარჯვასთან დაკავშირებული ინფორმაცია. იგნორირებულია მოთხოვნები თანმდებობის პირთა ხელფასების, პრემიებისა და დანამატების შესახებ. სამინისტრომ უპასუხოდ დატოვა ის შეკითხვებიც, რომლებიც თანამდებობის პირთა მიერ გაწეულ ავტოპარკის, სამივლინებო თუ საკომუნიკაციო ხარჯებს ეხება.




როგორც სტატისტიკურმა ანალიზმა აჩვენა, აჭარის ა/რ სოფლის მეურნეობის სამინისტრომ ვადების დაცვით გასცა მოთხოვნილი ინფორმაციის დიდი ნაწილი. სზაკ- ის მიხედვით დადგენილ ვადებში გაცემული ინფორმაციის მაჩვენებელმა 79% შეადგინა. 38 საკითხზე (21%) ინფორმაციის მომთხოვნებს პასუხები დაგვიანებით მიეწოდათ. ამათგან ყველა კითხვა პროექტებსა და პროგრამებს შეეხებოდა.


პროექტებთან ან პროგრამებთან დაკავშირებული ინფორმაცია
67
38
ვადების დაცვა
ვადების დარღვევა
0
50
100
150


ინფორმაციის მოწოდების ვადები ბლოკების მიხედვით
ბიუჯეტი
სარეზერვო ფონდები
უძრავი ქონება
სახელმწიფო შესყიდვები
სატელეკომუნიკაციო ხარჯები
მივლინებები
ავტოპარკი
შტატი
ხელფასები/ დანამატები/პრემიები
საჯარო ინფორმაციის გაცემის..
ვებ-გვერდის შექმნის ხარჯები
გატარებული ღონისძიებების..
სამართლებრივი აქტები
სხვა საჯარო ინფორმაცია
1
0
0
9
4
3
11
11
10
1
1
2
9
10
ვადების დაცვა
ვადების დარღვევა
0
2
4
6
8
10
12

## საჯარო ინფორმაციის მოთხოვნების რეესტრი: აჭარის ა/რ სოფლის მეურნეობის სამინისტრო

| აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტრო | | |
|---|---|---|
| მოთხოვნილი ინფორმაციის კატეგორია | მოთხოვნილი ინფორმაციის ქვეკატეგორია | კომენტარი |
| **1. ბიუჯეტი** | 1.1. ბიუჯეტის ასიგნებების ხარჯვის შესახებ ამომწურავი ინფორმაცია | სავარაუდოდ ინფორმაცია არასრულყოფილია რადგან დანართების რაოდენობა 1 გვერდს შეადგენს. შინაარსი უცნობია. |
| **2. სარეზერვო ფონდები** | 2.1. ინფორმაცია საჯარო დაწესებულებისთვის გამოყოფილი თანხების ოდენობის შესახებ | |
| **3. უძრავი ქონება** | 3.1. საჯარო დაწესებულების ბალანსზე არსებული უძრავი ქონების ჩამონათვალი | |
| **4. სახელმწიფო შესყიდვები** | 4.1. განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვების (გამოცხადებული ტენდერები, კონკურსები და სხვა სახის სახელმწიფო შესყიდვები) ამომწურავი ჩამონათვალი (სია) | |
| | 4.2. თითოეულ შესყიდვაზე გახარჯული თანხის ოდენობა | |
| | 4.3. სახელმწიფო შესყიდვების ანგარიშები | |

| | | |
|---|---|---|
| **5. სატელეკომუნიკაციო ხარჯები** | 5.1. თანამდებობის პირების მიერ განხორციელებულ სატელეფონო საუბრებზე (ზარები მობილურ ოპერატორებთან, საერთაშორისო და ლოკალური ზარები) გაწეული სატელეკომუნიკაციო ხარჯების შესახებ ინფორმაცია. | მოცემულია ინფორმაცია სამინისტროს სრული სისტემის და სსიპ სოფლის მეურნეობის სამინისტროს ლაბორატორიის სატელეკომუნიკაციო ხარჯების შესახებ, მოთხოვნა თანამდებობის პირების შესახებ იგნორირებულია. |
| | 5.2. თანამშრომლების ხარჯები სატელეფონო საუბრებზე (ზარები მობილურ ოპერატორებთან, საერთაშორისო და ლოკალური ზარები). | |
| **6. მივლინებები** | 6.1. ინფორმაცია თანამდებობის პირების მიერ ქვეყნის გარეთ და ქვეყნის შიგნით (ცალ-ცალკე) განხორციელებულ ოფიციალურ და სამუშაო, ვიზიტებზე გაწეული სამივლინებო ხარჯების შესახებ. | მოცემულია სამინისტროს მიერ პირველ და მეორე კვარტალში გაწეული სამივლინებო ხარჯის ჯამური რაოდენობა, თანამდებობის პირები გამოყოფილი არ არის. |
| | 6.2. თანამშრომლების სამივლინებო ხარჯები | |
| **7. ავტოპარკი** | 7.1. თანამდებობის პირებზე რიცხული ავტომანქანების ჩამონათვალი | |
| | 7.2. თანამდებობის პირებზე ავტომანქანების პერსონალური განაწილება. | |
| | 7.3. თანამდებობის პირების საწვავის ფაქტობრივი ხარჯი. | მოცემულია ინფორმაცია მხოლოდ სრული სისტემის შესახებ. |

| | | |
|---|---|---|
| | 7.4. თანამდებობის პირების მიერ მოხმარებული საწვავის ტიპი. | |
| | 7.5. სრული სისტემის თანამშრომლებზე საწვავის მოხმარებაზე გაწეული ფაქტობრივი ხარჯი სრული. | საწვავის ტიპის შესახებ ინფორმაცია მოწოდებულია მთლიანად (პირველი და მეორე კვარტალი, დიზელი და ბენზინი), არ არის დაკონკრეტებული თითოეულ ტიპზე დახარჯული თანხა |
| | 7.6. თანამდებობის პირების მიერ ავტომანქანებით მომსახურებაზე (შეკეთება, ცვეთა) ბიუჯეტიდან დახარჯული თანხის ოდენობა. | |
| | 7.7. სრული სისტემის მიერ ავტომანქანებით მომსახურებაზე (შეკეთება, ცვეთა) ბიუჯეტიდან დახარჯული თანხის ოდენობა. | |
| | 7.8. ადმინისტრაციის (ცენტრალური აპარატის) ბალანსზე რიცხული ავტომანქანების პერსონალური გადანაწილება (მათ შორის ავტომანქანის მოდელი) თანამდებობის პირებზე ან ადმინისტრაციის სხვა საჯარო მოსამსახურეებზე. | მოცემულია მანქანების ჩამონათვალი და შეძენის თარიღი, მაგრამ არ არის მოცემული ინფორმაცია მათი პერსონალური გადანაწილების შესახებ |
| | 7.9. ადმინისტრაციის (ცენტრალური აპარატის) საწვავის მოხმარებაზე გაწეული ფაქტობრივი ხარჯი | |

| | | |
|---|---|---|
| | 7.10. ბალანსზე რიცხული ავტომანქანების რაოდენობა, შეძენის თარიღი, ღირებულება, დაფინანსების წყარო, შესყიდვების ფორმა | |
| | 7.11. ადმინისტრაციის (ცენტრალური აპარატის) მიერ ავტომანქანებით მომსახურებაზე (შეკეთება, ცვეთა) ბიუჯეტიდან დახარჯული თანხის ოდენობა. | |
| **8. შტატი** | 8.1. შტატში მომუშავე პირთა საერთო რაოდენობა. | |
| | 8.2. შტატგარეშე მომუშავე პირთა საერთო რაოდენობა. | |
| | 8.3. თანამშრომლების სია თანამდებობების მიხედვით. | |
| | 8.4. საჯარო მოხელეების ვინაობა | |
| | 8.5. მინისტრის თანაშემწეებისათვის გათვალისწინებული შტატების რაოდენობა, გაიზარდა თუ არა შტატი აღნიშნულ თანამდებობაზე; მიზეზი | |
| | 8.6. საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი პირი | |
| **9. ხელფასები/ დანამატები/პრემიები** | 9.1. თანამდებობის პირებზე გაცემული ხელფასების რაოდენობა. | მოწოდებულია ინფორმაცია სრული სისტემის კვარტალური სახელფასო და სადანამატო ხარჯების შესახებ, იგნორირებულია მოთხოვნა თანამდებობის პირების შესახებ. |

| | | |
|---|---|---|
| | 9.2. თანამდებობის პირებზე გაცემული დანამატების რაოდენობა. | მოწოდებულია ინფორმაცია სრული სისტემის კვარტალური სახელფასო და სადანამატო ხარჯების შესახებ, იგნორირებულია მოთხოვნა თანამდებობის პირების შესახებ. |
| | 9.3. სრულ სისტემაზე გაცემული ხელფასების რაოდენობა. | მოცემულია სამინისტროს სრული სისტემის და სსიპ სოფლის მეურნეობის ლაბორატორიის (ცალ-ცალკე) სახელფასო და სადანამატო ხარჯების შესახებ ინფორმაცია (ჯამური რაოდენობა პირველი და მეორე კვარტალის შესახებ). |
| | 9.4 სრულ სისტემაზე გაცემული დანამატების რაოდენობა. | მოცემულია სამინისტროს სრული სისტემის და სსიპ სოფლის მეურნეობის ლაბორატორიის (ცალ-ცალკე) სახელფასო და სადანამატო ხარჯების შესახებ ინფორმაცია (ჯამური რაოდენობა პირველი და მეორე კვარტალის შესახებ). |
| | 9.5 თანამდებობის პირებზე გაცემული პრემიების რაოდენობა. | მოწოდებულია ინფორმაცია სრული სისტემის კვარტალური პრემიალური წახალისების შესახებ, იგნორირებულია მოთხოვნა თანამდებობის პირების შესახებ. |
| | 9.6. სრული სისტემის (ყველა სტრუქტურული ერთეული, ტერიტორიული და სხვა სისტემაში შემავალი ორგანო თუ დანაყოფი) თანამშრომლებზე დარიცხული პრემიების რაოდენობა. | მოცემულია სამინისტროს სრული სისტემის და სსიპ სოფლის მეურნეობის ლაბორატორიის (ცალ-ცალკე) პრემიალური წახალისების შესახებ ინფორმაცია (ჯამური რაოდენობა პირველი და მეორე კვარტალის შესახებ). |
| | 9.7. 9.7 ცენტრალური აპარატის თანამშრომლებზე დარიცხული პრემიების რაოდენობა. | |
| | 9.8. თითოეული თანამშრომლის თანამდებობრივი სარგო. | |

| | | |
|---|---|---|
| **10. საჯარო ინფორმაციის გაცემის რეკვიზიტები და საჯარო ინფორმაციის რეესტრი** | 10.1. იმ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ჩამონათვალი, რომელიც მოიცავს პასუხს საჯარო ინფორმაციის დაკმაყოფილებაზე ან გაცემაზე უარის თქმის შესახებ, რეკვიზიტებზე მითითებით (დოკუმენტების ასლების გარეშე). | არ არის მოწოდებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ჩამონათვალი და რეკვიზიტები. |
| | 10.2. საჯარო ინფორმაციის საჯარო რეესტრის ასლი ან/და ელექტრონული ვერსია. | |
| **11. ვებ-გვერდის შექმნის ხარჯები** | 11.1. საჯარო დაწესებულების ოფიციალური ვებ-გვერდის შექმნაზე გაწეული ხარჯების შესახებ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) საჯარო ინფორმაცია. | |
| **12. პროექტებთან ან პროგრამებთან დაკავშირებული ინფორმაცია** | 12.1. განხორციელებული პროექტების (სოციალური, მიზნობრივი, კვლევითი, სამეცნიერო, საგანმანათლებლო, ამა თუ იმ სფეროს განვითარებაზე მიმართული და მისთ.) ჩამონათვალი. | |
| | 12.2. განხორციელებული პროექტების (სოციალური, მიზნობრივი, კვლევითი, სამეცნიერო, საგანმანათლებლო, ამა თუ იმ სფეროს განვითარებაზე მიმართული და მისთ.) ანგარიშები. | |
| | 12.3. თითოეულ პროექტზე დახარჯული თანხების რაოდენობა. | |

| | | |
|---|---|---|
| **13. გატარებული ღონისძიებების ჩამონათვალი და ხარჯთაღრიცხვა** | 13.1. განხორციელებული ღონისძიებების (სარეკლამო, კულტურული, საგანანმანათლებლო, სამეცნიერო, სოციალური და სხვა) ჩამონათვალი. | |
| **14. სამართლებრივი აქტები** | | გადამისამართება სამინისტროს ვებ-გვერდზე |
| **15. სხვა საჯარო ინფორმაცია** | | |

## ფოკუსირებული დისკუსიების შედეგები

"ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტმა" კვლევის სრულყოფილად განხორციელების მიზნით პროექტის ფარგლებში **ფოკუსირებულ დისკუსია** გამართა არასამთავრობო ორგანიზაციებისა და მედიის წარმომადგენლებთან. **დისკუსია მიზნად ისახავდა** ინფორმაციის გაცვლას და გამოცდილების გაზიარებას საჯარო ინფორმაციის გამოთხოვნასთან დაკავშირებით, სამიზნე საჯარო დაწესებულებებიდან საჯარო ინფორმაციის გამოთხოვნის პრაქტიკის ანალიზს და საზოგადოებისთვის საინტერესო და ყველაზე მოთხოვნადი ინფორმაციის თემატიკის დადგენას.

შეხვედრები გაიმართა როგორც ქალაქ ბათუმში ისე თბილისში. მასში მონაწილეობა მიიღეს საქართველოში მოქმედი არასამთავრობო ორგანიზაციების, ინტერნეტ მედიისა და ბეჭდური მედიის, ასევე სტუდია მონიტორის ჟურნალისტებმა, რომლებსაც ინფორმაციის გამოთხოვნის საკმაოდ დიდი პრაქტიკა აქვთ და თავიანთი საქმიანობის ფარგლებში აქტიურად ითხოვენ საჯარო ინფორმაციას G3-ის პარტნიორი დაწესებულებებიდან.

როგორც დისკუსიებიდან გამოიკვეთა, სამიზნე დაწესებულებებიდან, კერძოდ იუსტიციის სამინისტროდან და კონტროლის პალატიდან საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის პრაქტიკა არაერთგვაროვანია, რადგან ინფორმაციის გაცემა ხშირად დამოკიდებულია მოთხოვნის შინაარსზე. ერთის მხრივ, იუსტიციის სამინისტრო ყოველთვის ვადის დაცვით გასცემს ინფორმაციას და დამუშავებული სახით გასცემს მონაცემებს, მაგრამ მეორეს მხრივ, თუ მოთხოვნა ეხება ისეთ „სენსიტიურ" თემებს, როგორიცაა მაგალითად პრემიები ან მივლინებები ინფორმაციის მიღება რთულდება.

ანალოგიურია ინფორმაციის გამოთხოვნის პრაქტიკა კონტროლის პალატიდანაც. მედიის წარმომადგენლები ხშირად მიმართავენ ინფორმაციის მოთხოვნის წერილებით კონტროლის პალატას, მათი აზრით სასურველია ვებ-გვერდზე განთავსდეს კონტროლის პალატის მიერ შემოწმებული დაწესებულებების ნუსხა. ეს საშუალებას მისცემს ჟურნალისტებს გამოითხოვონ კონკრეტული უწყებების დოკუმენტები, რაც დააჩქარებს და გააადვილებს ინფორმაციის მიღებას. ასევე საჯარო დაწესებულებების ვებ-გვერდზე აუცილებლად უნდა განთავსდეს ბიუჯეტის შესრულების ბალანსი.

არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენელთა თქმით ადვილია ინფორმაციის მიღება შესყიდვების სააგენტოდან, მაღალია სააგენტოს ოფიციალური ვებ-გვერდის ინფორმაციული გამჭვირვალობის ხარისხიც. თუმცა, საჯარო დაწესებულებების მიერ წარდგენილ შესყიდვების ოპერატიულ და წლიურ ანგარიშების წერილობით გამოთხოვნა ჟურნალისტებს მაინც უხდებათ. ერთადერთი რეკომენდაცია დისკუსიის მონაწილეების მხრიდან შეეხებოდა საკანონმდებლო ცვლილებების შესყიდვების სააგენტოს ვებ-გვერდზე დროულ ასახვას.

ჟურნალისტების აზრით ადვილია ინფორმაციის მიღება საჯარო სამსახურის ბიუროდან. თუმცა, აჭარის ა/რ მთავრობის შესახებ რეგიონალური და ცენტრალური მედიის მოსაზრებები ერთმანეთს არ დაემთხვა. ბათუმის მედიასაშუალებების აზრით აჭარის ა/რ მთავრობის აპარატიდან ხშირად რთულია სრულყოფილი ინფორმაციის მიღება. ხოლო, თბილისში მოქმედი არასამთავრობო ორგანიზაციებისა და მედიასაშუალებების აზრით აჭარის მთავრობის აპარატიდან საჯარო ინფორმაციის მიღება კანონმდებლობის ნორმათა დაცვით ხდება.

**რაც შეეხება მოთხოვნილი ინფორმაციის თემატიკას,** ყველაზე ხშირად არასამთავრობო ორგანიზაციებისა და მედიის წარმომადგენლებს სახელმწიფო ბიუჯეტის მიზნობრივად ხარჯვის საკითხი და ფინანსური ხასიათის ინფორმაცია აინტერესებთ. ხშირად ითხოვენ ინფორმაციას სარეზერვო ფონდების, შესყიდვების, შტატის, ბიუჯეტის, ხელფასებისა და პრემიების, სოციალური პროგრამების, პროექტების, სამივლინებო, საკომუნიკაციო და ავტოპარკის ხარჯების, ასევე სხვადასხვა სამართლებრივი აქტების შესახებ.

არსამთავრობო ორგანიზაციებისა და მედიის წარმომადგენლებმა შეხვედრებზე ისაუბრეს ზოგადად იმ პრობლემებზე რომლებიც რეალურად არსებობს და რომლებსაც ისინი აწყდებიან საჯარო ინფორმაციის გამოთხოვნისას როგორც საჯარო დაწესებულებების ასევე სასამრთლოს მხრიდან. ძალიან ხშირია ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილი ვადების დარღვევის შემთხვევები. საჯარო დაწესებულებები

ხშირად მარტივი ინფორმაციის გაცემასაც ათ დღეს ანდომებენ. ზოგჯერ მიღებული პასუხები არაადეკვატურია და არ პასუხობს კონკრეტულ მოთხოვნებს. ხშირია ვებ-გვერდზე გადამისამართება. ყველაფერი ეს კიდევ ერთხელ ხაზს უსვამს ოფიციალურ ვებ-გერდებზე საჯარო ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნების აუცილებლობას.

ინფორმაციის ჩამონათვალი, რომლის ხელმისაწვდომობა და საჯარო დაწესებულებების ვებ-გვერდზე გამოქვეყნებაც ჟურნალისტებისა და არასამთავრობოების აზრით აუცილებლად უნდა მოხდეს, საკმაოდ ვრცელია და შემდეგ საკითხებს მოიცავს:

1. პროგრამული ბიუჯეტის შესრულების ბალანსი;
2. ინფორმაცია საკანონმდებლო ცვლილებების შესახებ (შესყიდვების სააგენტო);
3. კონტროლის პალატის მიერ შემოწმებული დაწესებულებების ნუსხა;
4. ერთ პირთან მოლაპარაკების საფუძველზე დადებული ხელშეკრულებები;
5. აუქციონის წესით გასხვისებული ქონების შესახებ დადებული ხელშეკრულებები;
6. მსხვილი ობიექტების პრივატიზების ხელშეკრულებები;
7. სააქციო საზოგადოებებში ხმის უფლების მქონე აქციონერთა ვინაობა;
8. ინფორმაცია ქვეკონტრაქტორების შესახებ ერთ პირთან მოლაპარაკების შემთხვევებში;
9. ქართული მხარის მიერ დადებული საერთაშორისო ხელშეკრულებები;
10. პრეზიდენტის განკარგულებები და ბრძანებულებები;
11. ააიპ-ების მიერ საბიუჯეტო თანხების ხარჯვასთან დაკავშირებული ინფორმაცია;

მედიის წარმომადგენლები მიიჩნევენ, რომ მათთვის ღია უნდა იყოს მთავრობის სხდომები.

## რეკომენდაციები

2009, 2010, 2011 და ზოგ შემთხვევაში 2012 წლის მანძილზე 9 სამიზნე საჯარო დაწესებულებებიდან (აჭარის ა/რ მთავრობა, აჭარის ა/რ ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო, აჭარის ა/რ სოფლის მეურნეობის სამინისტრო, აჭარის ა/რ ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, აჭარის ა/რ განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო, საქართველოს იუსტიციის სამინისტრო, საქართველოს კონტროლის პალატა, საჯარო სამსახურის ბიურო, კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო) გამოთხოვილი და ამ დაწესებულებების მიერ გაცემული საჯარო ინფორმაციის სტატისტიკური და შინაარსობრივი ანალიზის შედეგად გამოიკვეთა საზოგადოებისთვის ძირითადი აქტუალობის

მქონე საკითხები, რის საფუძველზეც შემუშავდა რეკომენდაციები აღნიშნული საჯარო დაწესებულებებისთვის. იქიდან გამომდინარე, რომ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-3 თავით განსაზღვრული ვალდებულების შესრულება საქართველოში მოქმედ ყველა ადმინისტრაციულ ორგანოს თანაბრად მოეთხოვება, ქვემოთ წარმოდგენილია ის ზოგადი ხასიათის რეკომენდაციები, რაც აღნიშნული ცხრა დაწესებულების საქმიანობის დეტალური ანალიზის შედეგად გამოვლენილ საერთო ტენდენციებს ეყრდნობა, და რაც ყველა ამ საჯარო დაწესებულებას თანაბრად ეხება. უფრო მეტიც, შესაძლებელია რეკომენდაციების გავრცობა იმ საჯარო დაწესებულებებზეც, რომლებიც მოცემული კვლევის სამიზნე ჯგუფში არ მოხვდნენ

## საჯარო ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნება

უნდა აღინიშნოს, რომ კვლევის ფარგლებში გაანალიზირებული ცხრა დაწესებულებიდან აჭარის ა/რ ფინანსთა სამინისტრო არის ერთადერთი, რომლის მიერ 2009-2011 წლებში სრულყოფილად გაცემული საჯარო ინფორმაციის მაჩვენებელი მხოლოდ 18%-ს შეადგენს. ხუთ შემთხვევაში სრულყოფილი პასუხების წილი განსაკუთრებით მაღალია - 87%-98%. მიუხედავად იმისა, რომ ეს მონაცემები დამაიმედებელია, უნდა გავითვალისწინოთ ისიც, რომ ყოველ ცალკეულ მოთხოვნაზე პასუხის, განსაკუთრებით კი დროული პასუხის, გაცემა მოითხოვს ადამიანური, ფინანსური და დროის რესურსების ხარჯვას. მაგ. საჯარო სამსახურის ბიუროს მიერ ვადების დაცვით გაცემული ინფორმაციის წილი შეადგენს 45%-ს, ხოლო აჭარის ა/რ ფინანსთა სამინისტროს არც ერთ მოთხოვნაზე არ გაუცია პასუხი ვადების დაცვით. მართალია, საჯარო დაწესებულებებში არიან საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი კონკრეტული პირები, თუმცა შიდა ბიუროკრატიის, შემოსული და გასული წერილების გატარების, საჭირო ინფორმაციის მოძიებისა და საბოლოოდ პასუხის გაცემის პროცესი ხშირად ერთ დღეზე მეტ დროს მოითხოვს, და ერთზე მეტი ადამიანის ჩართულობას საჭიროებს. თვალსაჩინოებისთვის, საჯარო სამსახურის ბიურომ 2009 წელს 60 სრული სამუშაო დღე დაკარგა მხოლოდ ქონებრივ დეკლარაციებთან დაკავშირებულ მოთხოვნებზე პასუხის გაცემაზე. სამი თვის - სექტემბრის, ოქტომბრისა და ნოემბრის - განმავლობაში კი თითქმის ყოველ დღე უწევდა ამ საკითხზე შემოსული საჯარო ინფორმაციის მოთხოვნებზე მუშაობა. ამასთან, დათვლილია მხოლოდ უნიკალური დღეების რაოდენობა - მაგ. თუ ერთი მოთხოვნა შევიდა 7 სექტემბერს და პასუხი გაეცა 9 სექტემბერს, ხოლო მეორე შევიდა 8 სექტემბერს და პასუხი გაეცა 9 სექტემბერს, ის დღეები, რომლებიც გადაიფარა (8 და 9 სექტემბერი) მხოლოდ

თითო-თითოჯერ იქნა დათვლილი, თუმცა რეალურად ამ დღეებში დატვირთვა უფრო მეტი იქნებოდა. თუ უბრალოდ შევაჯამებთ ყველა მოთხოვნაზე დახარჯულ დღეებს ცალ-ცალკე (კალენდარული დღეების გათვალისწინების გარეშე), ეს მაჩვენებელი ორჯერ და სამჯერ გაიზრდება, რადგან შემთხვევები როდესაც მოკლე პერიოდში ერთზე მეტი მოთხოვნა იყო პასუხგასაცემი, საკმაოდ ხშირია.

| September 2009 | | | | | | | ქონებრივ დეკლარაციებთან დაკავშირებულ მოთხოვნების დამუშავებაზე გამოყენებული დღეები |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| Mon | Tue | Wed | Thu | Fri | Sat | Sun | |
| | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 0 |
| 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | 13 | 4 |
| 14 | 15 | 16 | 17 | 18 | 19 | 20 | 5 |
| 21 | 22 | 23 | 24 | 25 | 26 | 27 | 5 |
| 28 | 29 | 30 | | | | | 3 |
| | | | | | | | 17 |

| October 2009 | | | | | | | ქონებრივ დეკლარაციებთან დაკავშირებულ მოთხოვნების დამუშავებაზე გამოყენებული დღეები |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| Mon | Tue | Wed | Thu | Fri | Sat | Sun | |
| | | | 1 | 2 | 3 | 4 | 2 |
| 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 5 |
| 12 | 13 | 14 | 15 | 16 | 17 | 18 | 3 |
| 19 | 20 | 21 | 22 | 23 | 24 | 25 | 2 |
| 26 | 27 | 28 | 29 | 30 | 31 | | 4 |
| | | | | | | | 16 |

| November 2009 | | | | | | | ქონებრივ დეკლარაციებთან დაკავშირებულ მოთხოვნების |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| Mon | Tue | Wed | Thu | Fri | Sat | Sun | |

| | | | | | | | დამუშავებაზე გამოყენებული დღეები |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | | 1 | 0 |
| 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 2 |
| 9 | 10 | 11 | 12 | 13 | 14 | 15 | 5 |
| 16 | 17 | 18 | 19 | 20 | 21 | 22 | 5 |
| 23 | 24 | 25 | 26 | 27 | 28 | 29 | 5 |
| 30 | | | | | | | 1 |
| | | | | | | | 18 |

| December 2009 | | | | | | | ქონებრივ დეკლარაციებთან დაკავშირებულ მოთხოვნების დამუშავებაზე გამოყენებული დღეები |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| Mon | Tue | Wed | Thu | Fri | Sat | Sun | |
| | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 2 |
| 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | 13 | 1 |
| 14 | 15 | 16 | 17 | 18 | 19 | 20 | 1 |
| 21 | 22 | 23 | 24 | 25 | 26 | 27 | 0 |
| 28 | 29 | 30 | 31 | | | | 0 |
| | | | | | | | 4 |

| | |
|---|---|
| Sum | 55 |

2010 წლიდან, რაც საჯარო სამსახურის ბიურო გადავიდა ქონებრივი დეკლარაციების ელექტრონულ სისტემაზე, მოთხოვნილი საკითხების რაოდენობა 570-დან (2009 წელს) 149-მდე შემცირდა. ეს არის ერთ-ერთი ყველაზე კარგი მაგალითი იმის, თუ როგორ შეუძლია საჯარო ინფორმაციის პროაქტიულ გამოქვეყნებას შეამსუბუქოს საჯარო დაწესებულების საქმიანობა.

აქედან გამომდინარე, სასურველია, საჯარო დაწესებულებებმა პროაქტიულად, საჯარო ინფორმაციის მოთხოვნების მიღებამდე, გაასაჯაროონ ისეთი ინფორმაცია, რომელიც პოტენციურად დიდი ინტერესის და მნიშვნელობის მქონეა საზოგადოებისთვის. კვლევის განმავლობაში ჩატარებული დეტალური ანალიზის შედეგად შესაძლებელია გამოიყოს ინფორმაციის ის ძირითადი კატეგორიები,

რომლებიც ყველაზე აქტუალური და მოთხოვნადია აღნიშნული ცხრა დაწესებულების პრაქტიკის შემთხვევაში.

- **საჯარო დაწესებულების ფინანსური გამჭვირვალობა და ანგარიშვალდებულება** - უმეტესწილად, მოთხოვნილი ინფორმაცია ეხება საჯარო დაწესებულების ადმინისტრაციულ ხარჯებს, რისი ცოდნაც აუცილებელია, რათა მოსახლეობა საქმის კურსში იყოს საზოგადოებრივი რესურსების განკარგვის თაობაზე. ასეთი ინფორმაცია ძირითადად მოიცავს შემდეგ კატეგორიებს, თუმცა არ შემოიფარგლება აღნიშნულით:

o **ინფორმაცია ბიუჯეტის შესახებ** (ბიუჯეტის შესრულების ბალანსი, ბიუჯეტში შეტანილი ცვლილებები, არასაბიუჯეტო შემოსავლები და ა.შ.);

o **ინფორმაცია სარეზერვო ფონდების შესახებ** (სარეზერვო ფონდებიდან გამოყოფილი თანხების ოდენობა, გამოყოფილი თანხით დაფინანსებული აქტივობები, სარეზერვო თანხების ხარჯვის ანგარიში, შესაბამისი სამართლებრივი აქტების ასლები და ა.შ.);

o **ინფორმაცია სახელმწიფო შესყიდვების შესახებ** (განხორციელებული შესყიდვების ჩამონათვალი, თითოეულ შესყიდვაზე გახარჯული თანხის ოდენობა, შესყიდვების გეგმები, ინფორმაცია სახელმწიფო შესყიდვებში გამარჯვებულ იურიდიულ პირთა და/ან ინდივიდუალურ მეწარმეთა შესახებ, გაფორმებული ხელშეკრულებების ასლები, ტენდერების შედეგად გაფორმებული ხელშეკრულებების შესრულების ანგარიშები და ა.შ.);

o **ინფორმაცია სატელეკომუნიკაციო ხარჯების შესახებ** (თანამდებობის პირების, სრული სისტემის, სატელეფონო საუბრებზე დახარჯული თანხები, ტელეფონების შესყიდვაზე გაწეული ხარჯები და ა.შ.);

o **ინფორმაცია სამივლინებო ხარჯების შესახებ** (ინფორმაცია ოფიციალური ვიზიტების შესახებ, მივლინებებისთვის გამოყოფილი ხარჯები წლების მიხედვით და ა.შ.);

o **ინფორმაცია ავტოპარკის ხარჯების შესახებ** (ბალანსზე რიცხული ავტომანქანების რაოდენობა, შეძენის თარიღი, ღირებულება, დაფინანსების წყარო, შესყიდვის ფორმა, თანამდებობის პირებზე/ადმინისტრაციის სხვა საჯარო მოსამსახურეებზე რიცხული ავტომანქანების ჩამონათვალი და პერსონალური გადანაწილება, საწვავის ფაქტობრივი ხარჯი, მოხმარებული საწვავის ტიპი, საწვავის ყოველთვიური ზღვრული ლიმიტი, ავტომანქანების მომსახურებაზე ბიუჯეტიდან დახარჯული თანხის ოდენობა, თითოეული შეძენილი ავტომანქანის

დაფინანსების, სარგებლობაში არსებული ავტომანქანის წარმომავლობის წყარო და ა.შ.);

o **ინფორმაცია ხელფასების, დანამატებისა და პრემიების შესახებ** (თანამდებობის პირების ხელფასები, დანამატების და პრემიები, თანამშრომლების ხელფასებზე, დანამატებსა და პრემიებზე დახარჯული კვარტალური თანხები, საშტატო ერთეულებზე განსაზღვრული სახელფასო ანაზღაურება, საპრემიო ფონდისთვის განსაზღვრული თანხების რაოდენობა და ა.შ.);

o **ინფორმაცია საჯარო დაწესებულების მფლობელობაში არსებული ობიექტების შესახებ** (ბალანსზე არსებული უძრავი ქონების ჩამონათვალი და ღირებულება, გასხვისებული ობიექტების რაოდენობა, მისამართი, გასხვისების პირობები და დოკუმენტაცია, ინფორმაცია სიმბოლურ ფასად გადაცემული ობიექტების შესახებ, ინფორმაცია გადაცემული ობიექტების განკარგვის, გასხვისების შესახებ და ა.შ.);

o **ინფორმაცია კრედიტორული და დებიტორული ვალის შესახებ** - ვალის წარმოშობის დრო და დაგროვების მიზეზები, შესაბამისი დოკუმენტაციით;

o **სხვადასხვა სახის დანახარჯები** (ინფორმაცია საჩუქრებზე და ოფიციალურ მიღებებზე დახარჯული თანხების შესახებ და ა.შ.).

➢ **ინფორმაცია საჯარო დაწესებულების შესახებ** - ხშირად საზოგადოება ინტერესდება ისეთი სტატიკური სახის ინფორმაციით, რომელიც ეხება საჯარო დაწესებულების საქმიანობას. ასეთი ინფორმაციის ვებ-გვერდზე პროაქტიულად განთავსება თავიდან ააცილებს დაწესებულებას ზედმეტ მოთხოვნებს ისეთ სტანდარტულ საკითხებზე, როგორიცაა:

o **ინფორმაცია საჯარო დაწესებულებაში დასაქმებული პირების შესახებ** (შტატში და შტატგარეშე მომუშავე პირების საერთო რაოდენობა, თანამშრომლების სია თანამდებობების მიხედვით, დასაქმებულ პირთა საკონტაქტო ინფორმაცია, ინფორმაცია კადრების შერჩევის წესისა და ჩატარებული კონკურსების შესახებ, ინფორმაცია ანაზღაურებადი შვებულებების შესახებ - თანამდებობის პირთა ვინაობა, შვებულების დრო, ხანგრძლივობა, ანაზღაურების რაოდენობა და ა.შ.);

o **ინფორმაცია საჯარო დაწესებულების დაქვემდებარებაში არსებული სტრუქტურული ერთეულების შესახებ** (სტრუქტურული ერთეულების, სსიპ-ებისა და ააიპების ჩამონათვალი, სტატუსი და მოვალეობები, შესაბამისი სამართლებრივი აქტები, რომლითაც განსაზღვრულია სტრუქტურული ერთეულების ფუნქციები (აქტის დასახელება, გამომცემი ორგანო, გამოცემის თარიღი და ნომერი), საქვეუწყებო დაწესებულებების ჩამონათვალი, მისამართები და ხელმძღვანელი

პირების დასახელება, ინფორმაცია დარეგისტრირებული არასამეწარმეო არაკომერციული იურიდიული პირების შესახებ (რაოდენობა, იურიდიული პირების სია, ხელმძღვანელის, მისამართის, ტელეფონის და ვებ-გვერდის ჩათვლით და ა.შ.)

o აქვე ცალკე გამოსაყოფია, თუ რომელი სტრუქტურული ერთეულის ვალდებულებაში შედის სზაკ-ით დადგენილი **საჯარო ინფორმაციის გაცემის ვალდებულება** და აღნიშნული სტრუქტურული ერთეულის საკონტაქტო ინფორმაცია. საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი პირების სახელი და გვარი, საკონტაქტო ინფორმაცია.

- **ინფორმაცია საჯარო დაწესებულების პროექტებისა და ღონისძიებების შესახებ -** საზოგადოება ხშირად ინტერესდება მიმდინარე და განხორციელებული პროექტებითა და ღონისძიებებით, რაც თვალსაჩინოს ხდის საჯარო დაწესებულების საქმიანობას და ამ საქმიანობისთვის გამოყოფილი საბიუჯეტო თანხების განკარგვას. სასურველია, საჯარო დაწესებულებამ საკუთარ ოფიციალურ ვებ-გვერდზე განათავსოს დეტალური ინფორმაცია განხორციელებული, მიმდინარე და დაგეგმილი პროექტებისა და ღონისძიებების თაობაზე. კერძოდ, შემდეგი სახის ინფორმაცია:

o **ინფორმაციას საჯარო დაწესებულების მიერ განხორციელებული, მიმდინარე და დაგეგმილი პროექტების შესახებ** (სოციალური, მიზნობრივი, კვლევითი, სამეცნიერო, საგანმანათლებლო, ამა თუ იმ სფეროს განვითარებაზე მიმართული და მისთ., პროექტების ჩამონათვალი, თითოეულ პროექტზე დახარჯული თანხების ოდენობა, პროექტის ფარგლებში შემუშავებული დოკუმენტების ასლები, ინფორმაცია პროექტის შემუშავებისა და დამტკიცების თარიღის შესახებ, მიმდინარე წელს განსახორციელებელი მიზნობრივი პროგრამების შესახებ ინფორმაცია, ინფორმაცია მიმდინარე და დაგეგმილი პროექტების შესახებ, განხორციელებული პროექტების ანგარიშები, პროგრამის დაწყების თარიღი და ა.შ.);

o **ინფორმაცია დაწესებულების მიერ განხორციელებული, მიმდინარე და დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ** (განხორციელებული სარეკლამო, კულტურული, საგანანმანათლებლო, სამეცნიერო, სოციალური და სხვა ღონისძიებების ჩამონათვალი, თითოეულ ღონისძიებაზე დახარჯული თანხის რაოდენობა, ღონისძიებებთან დაკავშირებული ხარჯთაღრიცხვის ამსახველი დოკუმენტაციის ქსეროასლები, მიმდინარე ღონისძიებების დაფინანსების წყაროები, შესაბამისი დოკუმენტაციის ქსეროასლები და ა.შ.).

- **სამართლებრივი აქტების შესახებ ინფორმაცია** - საზოგადოება ხშირად ინტერესდება საჯარო დაწესებულების შესახებ არსებული ოფიციალური დოკუმენტაციით, როგორიცაა ბრძანებები, დებულებები, დადგენილებები, განხორციელებული სამუშაოების ამსახველი სამართლებრივი და ფინანსური დოკუმენტები, თანამშრომლობის მემორანდუმები და სხვა იურიდიული მნიშვნელობის მქონე დოკუმენტების ასლები.
- **საჯარო ინფორმაციის მოთხოვნების განახლებადი რეესტრი** - სასურველია, საჯარო დაწესებულებამ ვებ-გვერდზე განათავსოს საჯარო ინფორმაციის რეესტრი - შესული მოთხოვნებისა და გაცემული პასუხების შესახებ ცნობებით, იმ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ჩამონათვალი, რომელიც მოიცავს პასუხს საჯარო ინფორმაციის დაკმაყოფილებაზე ან გაცემაზე უარის თქმის შესახებ, რეკვიზიტებზე მითითებით და ა.შ. ასეთი ინფორმაციის გამოქვეყნება შეამცირებს ერთ საკითხზე მრავალი ინდივიდუალური მოთხოვნების რაოდენობას, და დაზოგავს საჯარო დაწესებულების რესურსებს.
- **საკონსულტაციო სახის შეკითხვები - ხშირად დასმული კითხვები** - საჯარო დაწესებულებას საკმაოდ ხშირად მიმართავენ არა მხოლოდ საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის მიზნით, არამედ საკონსულტაციო სახის შეკითხვებით, როგორიცაა მითითებები ხელშეკრულების გაფორმების შესახებ და ა.შ. უნდა აღინიშნოს, რომ საჯარო დაწესებულება ხშირ შემთხვევაში სრულყოფილად პასუხობს ასეთ კითხვებს. თუმცა, იმისათვის რომ დაიზოგოს საჯარო დაწესებულების მიერ დახარჯული დრო, ადამიანური და ფინანსური რესურსები, სასურველია, ასეთი სახის ინფორმაცია განთავსდეს საიტზე **ხშირად დასმული კითხვების (Frequently Asked Questions - FAQ) სახით**.

## არასრულყოფილი პასუხების თავიდან აცილება

კვლევის შედეგად დადგინდა, რომ საკმაოდ დიდია არასრულყოფილი პასუხების წილი. მაგალითად აჭარის ა/რ ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს პასუხების მხოლოდ 18% სრულად შეესაბამება გამოთხოვილ ინფორმაციას. როდესაც საჯარო დაწესებულება სრულად არ პასუხობს მოთხოვნილ საჯარო ინფორმაციას, გაცემული პასუხის შემთხვევაშიც კი ის არასრულყოფილად ითვლება. ამიტომ, სასურველია, საჯარო დაწესებულებამ სრულად უპასუხოს საჯარო ინფორმაციის მოთხოვნას, ხოლო პასუხის არგაცემის შემთხვევაში სათანადოდ დაასაბუთოს უარი.

ასევე საკმაოდ ხშირია ინფორმაციის გაცემის ნაცვლად გადამისამართება ვებ-გვერდებზე, რაც ასევე არ არის სრულყოფილი პასუხი, რადგან საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 37-ე მუხლის მიხედვით, „ყველას აქვს უფლება მოითხოვოს საჯარო ინფორმაცია მისი ფიზიკური ფორმისა და შენახვის მდგომარეობის მიუხედავად და აირჩიოს საჯარო ინფორმაციის მიღების ფორმა". სასურველია, საჯარო დაწესებულებამ იმ ფორმით გასცეს საჯარო ინფორმაცია, რა ფორმითაც არის ის მოთხოვნილი, ხოლო თუ ამის შესაძლებლობა არ არსებობს, სათანადოდ დაასაბუთოს საკუთარი ქმედება. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ პროაქტიული გამოქვეყნება არ უქმნის საჯარო დაწესებულებას იმის საფუძველს, რომ საჯარო ინფორმაციის მოთხოვნებს უპასუხოს ვებ-გვერდზე გადამისამართებით. ამ შემთხვევაში პროაქტიული გამოქვეყნება მხოლოდ და მხოლოდ ამცირებს პოტენციური მოთხოვნების რიცხვს, რადგან საჯარო ინფორმაციით დაინტერესებული პირები შემდგომში ჯერ ვებ-გვერდს შეამოწმებენ, და მხოლოდ იმ შემთხვევაში გამოითხოვენ კონკრეტულ ინფორმაციას, თუ ის ვებ-გვერდზე არ იქნება განთავსებული.

## საჯარო ინფორმაციის გაცემა ვადების დაცვით

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-40 მუხლის მიხედვით, „საჯარო დაწესებულება ვალდებულია გასცეს საჯარო ინფორმაცია დაუყოვნებლივ ან არა უგვიანეს 10 დღისა, თუ საჯარო ინფორმაციის მოთხოვნაზე პასუხის გაცემა მოითხოვს:

ა) სხვა დასახლებულ პუნქტში არსებული მისი სტრუქტურული ქვედანაყოფიდან ან სხვა საჯარო დაწესებულებიდან ინფორმაციის მოძიებასა და დამუშავებას;

ბ) მნიშვნელოვანი მოცულობის ერთმანეთთან დაუკავშირებელი ცალკეული დოკუმენტების მოძიებასა და დამუშავებას;

გ) სხვა დასახლებულ პუნქტში არსებულ მის სტრუქტურულ ქვედანაყოფთან ან სხვა საჯარო დაწესებულებასთან კონსულტაციას.

თუ საჯარო ინფორმაციის გაცემისათვის საჭიროა 10-დღიანი ვადა, საჯარო დაწესებულება ვალდებულია მოთხოვნისთანავე აცნობოს ამის შესახებ განმცხადებელს."

საჯარო სამსახურის ბიუროს მიერ გაცემული პასუხების 55%-ში საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-40 მუხლით გათვალისწინებული 10

დღიანი ვადა დარღვეულია. სასურველია, საჯარო ინფორმაცია დაუყოვნებლივ, ან უკიდურეს შემთხვევაში 10 დღიანი ვადის დაცვით გაიცეს.

## იგნორირებული და უარყოფილი საკითხები

ისეთი შემთხვევები, როდესაც საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის განცხადებაში ნახსენები საკითხი სრულიად უგულებელყოფილია საჯარო დაწესებულების მიერ, მერყეობს პასუხების მთლიანი რაოდენობის 1-8%-მდე. თუმცა ორ შემთხვევაში ასეთი პასუხების რაოდენობა საგანგაშოდ მაღალია - აჭარის მთავრობის მიერ გაცემული პასუხების 20%-ია იგნორირებული, ხოლო აჭარის ა/რ ფინანსთა სამინისტროს შემთხვევაში ასეთი პასუხების წილი 58%-ს აღწევს. სასურველია, საჯარო დაწესებულება ყურადღებით გაეცნოს შესულ მოთხოვნებს და ყველა პუნქტს ზედმიწევნით უპასუხოს. იმ შემთხვევაში კი, თუ საჯარო ინფორმაციას ვერ გასცემს, უარი უნდა იყოს დასაბუთებული - შესაბამის სამართლებრივ ნორმაზე მითითებით.